Eco-Schools
Georgia

ეკო სკოლა

ეკოსკოლების
პროგრამის გზამკვლევი

ეკოსკოლების პროგრამის გზამკვლევი

შინაარსი

შესავალი 6

ვინ ახორციელებს ეკოსკოლების პროგრამას? 6

მდგრადი განვითარების მიზნები და განათლება მდგრადი განვითარებისთვის 7

ეკოსკოლების პროგრამის წარდგენა . . . . . .

რა არის ეკოსკოლების პროგრამა? 8

როგორ მუშაობს ეკოსკოლების პროგრამა? 9

ეკოსკოლების პროგრამის სარგებელი 10

ეკოსკოლების პროგრამის მიზნები და ამოცანები 11

ეკოსკოლების პროგრამის შედეგები 11

ეკოსკოლების პროგრამის მოკლე ისტორია 12

ეკოსკოლების პროგრამის ღირებულებები 13

ეკოსკოლების პროგრამის თემატიკა 14

ეკოსკოლების პროგრამა და მდგრადი განვითარების მიზნები 15

თემის შერჩევა ეკოსკოლების პროგრამისთვის 20

ეკოსკოლების პროგრამის დანერგვის მეთოდოლოგია 21

ეკოსკოლების პროგრამის შვიდი საფეხური - პრაქტიკული რჩევები და დანართები 24

საფეხური 1. ეკოკომიტეტის ფორმირება 24

ეკოკომიტეტის სტრუქტურა 24

ეკოკომიტეტის ნომინაცია და შერჩევა 25

ეკოკომიტეტის საქმიანობა 25

ეკოკომიტეტის მნიშვნელობა მოსწავლეთათვის 27

ეკოკომიტეტის ფორმირების შესრულების ინდიკატორები 27

რჩევები ეკოკომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად 27

ეკოკომიტეტის შეხვედრის ოქმის ნიმუში 29

საფეხური 2. მდგრადობის აუდიტის ჩატარება . . . 31
რა არის მდგრადი განვითარების აუდიტი? . . . 31
როგორ ტარდება აუდიტი? . . . 32
მზადება აუდიტის ჩატარებისთვის . . . 32
აუდიტში მონაწილეობს ყველა . . . 33
აუდიტის შედეგები არ უქმნიან რისკს მწვანე დროშის ჯილდოს მიღებას . . . 34
მდგრადობის აუდიტის შესრულების ინდიკატორები . . . 35
გამოკითხვა/გამოკვლევა ეკოსკოლის სამუშაო თემის შერჩევის მიზნით . . . 48

საფეხური 3. სამოქმედო გეგმა . . . 49
რა არის სამოქმედო გეგმა? . . . 49
სამოქმედო გეგმა უნდა იყოს რელევანტური და მიღწევადი . . . 50
აქტივობების მრავალფეროვნება სამოქმედო გეგმაში . . . 50
სამოქმედო გეგმის ელემენტები . . . 51
ერთობლივი და თანამშრომლობითი სამოქმედო გეგმა . . . 52
სტრუქტურირებული და კოორდინირებული სამოქმედო გეგმა . . . 52
სამოქმედო გეგმა - სამუშაო დოკუმენტი . . . 52
სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები . . . 53
რჩევები სამოქმედო გეგმის შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად . . . 53
სამოქმედო გეგმის ნიმუშები . . . 54
სამოქმედო გეგმის მაგალითი . . . 55

საფეხური 4. მონიტორინგი და შეფასება . . . 58
რა არის მონიტორინგი და შეფასება? . . . 58
ინდიკატორების ტიპები . . . 58
კოლექტიური ძალისხმევა . . . 59
სამოქმედო გეგმის შეფასება . . . 60
საერთო შეფასება . . . 60
მონიტორინგისა და შეფასების შესრულების ინდიკატორები: . . . 60
რჩევები მონიტორინგისა და შეფასების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად 61
მონიტორინგისა და შეფასებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები: . . . 61
მონიტორინგის ფურცლის მაგალითი . . . 63
მონიტორინგის ფურცლის ნიმუში 2 . . . 65

საფეხური 5. კავშირი სასწავლო პროგრამასთან . . . 65
ეკოსკოლების პროექტის განხორციელება სხვადასხვა საგნის მეშვეობით . . . 67
მასწავლებლების ჩართვა . . . 67
მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირებული სწავლება - რეალური გამოწვევა . . . 68
ინტერდისციპლინარული სწავლის განვითარება . . . 68
სასწავლო პროგრამასთან კავშირის ნიმუში . . . 70
სასწავლო პროგრამასთან კავშირის შესრულების ინდიკატორები . . . 71
რჩევები სასკოლო პროგრამაში ინტეგრირების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად . . . 71

საფეხური 6. ინფორმირება და ჩართვა 72
რას ნიშნავს ინფორმირება და ჩართვა? 72
პრეზენტაციიდან ცნობიერების ამაღლებამდე 72
მოსწავლეთა ჩართულობა 72
სკოლის შენობის მიღმა 73
ინფორმაციის გავრცელების ფორმები: 74
ინფორმირებისა და ჩართვის შესრულების ინდიკატორები: 74
რჩევები ინფორმირებისა და ჩართვის შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად 74

საფეხური 7. ეკოკოდექსის შემუშავება 75
რა არის ეკოკოდექსი? 75
რა ფორმა უნდა ჰქონდეს ეკოკოდექსს? 76
საკომუნიკაციო ინსტრუმენტები 76
ეკოკოდექსის შესრულების ინდიკატორები: 76
რჩევები ეკოკოდექსის შემუშავების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად 77

მწვანე დროშის დოკუმენტაცია 79

შესავალი

გზამკვლევი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს საქართველოს სკოლებს, რომელთაც სურთ შეუერთდნენ ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამას და დაეხმაროს მათ პროგრამის წარმატებულად დანერგვაში.

ვინ ახორციელებს ეკოსკოლების პროგრამას?

ეკოსკოლების საერთაშორისო პროგრამა ფუნქციონირებს 1994 წლიდან და ის გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) ერთ-ერთი წარმატებული პროგრამაა. FEE, როგორც საერთაშორისო არაკომერციული გარემოსდაცვითი ორგანიზაცია, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მუშაობს პარტნიორებთან, რათა განახორციელოს ცნობიერების ასამაღლებელი ხუთი საგანმანათლებლო პროგრამა:

- ლურჯი დროშა
- მწვანე გასაღები
- ეკოსკოლები
- ახალგაზრდა რეპორტიორები გარემოს დაცვისათვის
- სატყეო პროგრამა- LEAF (შევიტყოთ ტყეების შესახებ)

ეკოსკოლების პროგრამა უკვე 25 წელია წარმატებით ხორციელდება მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში და აერთიანებს 19 მილიონ მოსწავლესა და მილიონზე მეტ მასწავლებელს.
საქართველოში ეკოსკოლების პროგრამას წარმოადგენს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, რომელიც 2020 წელს გახდა გარემოსდაცვითი განათლების ფონდის (FEE) ასოცირებული წევრი და ეკოსკოლების პროგრამის წარმომადგენელი ეროვნულ დონეზე.
პროგრამა ხორციელდება პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორეთან მჭიდრო თანამშრომლობით.

გარემოსდაცვითი განათლების ფონდი შეიქმნა 1980 წელს ევროპის საბჭოს გარემოსდაცვითი ექსპერტების მიერ. ინიციატივა მიზნად ისახავდა საზოგადოების წარმომადგენლების პრაქტიკული ქმედებების წახალისებას, მათი ინიციატივების ხელშეწყობას და ინფორმაციის საერთაშორისო დონეზე გავრცელებას ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეკომარკირება (სხვადასხვა პროდუქტის, პროცესის, სერვისის ეკოლოგიურობის ხარისხის შეფასება) ჯერ კიდევ ფეხს იდგამდა. ახლა ორგანიზაცია UNESCO-ს მიერ FEE აღიარებულია გლობალურ ლიდერად მდგრადი განვითარებისთვის განათლების სფეროში.

ეკოსკოლების პროგრამა მოსწავლეთა ჩართულობითა და ექსპერიმენტული სწავლების გზით მიზნად ისახავს, აღზარდოს აქტიური მოქალაქე, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებს გარემოს დაცვასა და ზრუნვაზე.

ეკოსკოლების 25-ე წლისთავის დეკლარაცია იძლევა გარანტიას, რომ დაცული იქნება ბავშვთა მნიშვნელოვანი უფლება - მიიღოს განათლება მდგრადი განვითარებისათვის.

მდგრადი განვითარების მიზნები და განათლება მდგრადი განვითარებისთვის

რა კავშირია მდგრადი განვითარების მიზნებს (Sustainable Development Goals - SDG) და განათლებას (Education for Sustainable Development - ESD) შორის? მდგრადი განვითარების მიზნები გვთავაზობს ჩვენი საერთო მომავლის ხედვას, განსაზღვრავს დღის წესრიგს ყველა ადამიანის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა ამ მიზნების მნიშვნელობაში დასარწმუნებლად, მათ მიღწევაში საკუთარი როლის გასაცნობიერებლად მნიშვნელოვანია განათლება მდგრადი განვითარებისთვის.
განათლებამ საშუალება უნდა მისცეს ყველა ადამიანს შეიცნოს სამყარო მის გარშემო, გაიუმჯობესოს სწავლისა და ცხოვრების შესაძლებლობა, იპოვოს თავისი ადგილი საზოგადოებაში და გაიაზროს საკუთარი პასუხისმგებლობები. განათლება მდგრადი განვითარებისთვის აყალიბებს იმ ცოდნას, დამოკიდებულებებსა და უნარებს, რომლებიც ადამიანებში აღვიძებენ მოტივაციას, აიღონ პასუხისმგებლობა გარემოს დაცვასა და ზრუნვაზე, შეძლონ გარემოს დაცვასთან დაკავშირებული პრობლემების პრევენცია და გადაჭრა, შეინარჩუნონ და აღადგინონ გარემო მათ ირგვლივ.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის გამოკვეთს კავშირს გარემოს, ეკონომიკასა და საზოგადოებას შორის, ის საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, კრიტიკულად შეხედონ დღეს ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევებს, ჩამოაყალიბონ თავიანთი დამოკიდებულება და მიიღონ საკუთარი გადაწყვეტილებები მათ დასაძლევად.

მდგრადი განათლების საკითხები კომპლექსური, დინამიკური და ზოგჯერ ბუნდოვანიცაა. ამიტომ შეუძლებელია მათი ცალკეულ დისციპლინებად დაყოფა. განათლება მდგრადი განვითარებისთვის მიღწევადია ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე. გლობალური გამოწვევებით სავსე (მზარდი უთანასწორობა, კლიმატის ცვლილება, მიგრაცია და სხვა) თანამედროვე მსოფლიოში განათლებას მდგრადი განვითარებისათვის სულ უფრო მნიშვნელოვანი როლი ეკისრება სასკოლო სასწავლო პროგრამებში.

ეკოსკოლების პროგრამის წარდგენა

რა არის ეკოსკოლების პროგრამა?

ეკოსკოლები შეიქმნა 1994 წელს, დანიაში, FEE-ის მიერ. როგორც საგანმანათლებლო პროგრამა, ეკოსკოლა ხელს უწყობს მდგრადი განვითარებისათვის განათლების გაძლიერებას სისტემური, ინტესდისციპლინარული მიდგომით, პროექტული სწავლების დანერგვის გზით; ის წაახალისებს პრაქტიკულ ქმედებებს და უკავშირებს მდგრადი განვითარების საკითხებს შესაბამის სასწავლო პროგრამებს. პროგრამა იძლევა გარემოსდაცვითი თემების შესწავლის შესაძლებლობას საკლასო ოთახში თუ მის გარეთ აქტიური ქმედებების, დაკვირვების, კვლევის გზით. პროგრამა ამაღლებს მოსწავლეთა ცნობიერებას გლობალური საკითხების მიმართ. ის იდეალური საშუალებაა სკოლისათვის, იმუშაოს საკუთარი გარემოს გაუმჯობესებისათვის და გახდეს უფრო მწვანე, ნაკლებდანახარჯიანი და უფრო პასუხისმგებლიანი გარემოს მიმართ.

ეკოსკოლა ახალისებს ახალგაზრდების ინიციატივებსა და პრაქტიკულ ქმედებებს. უბიძგებს, ჩაერთონ და ეფექტურად დაიცვან თავიანთი გარემო. ის თავდაპირველად საკლასო ოთახში იწყება და შემდგომ სკოლასა და მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება.

ეკოსკოლების პროგრამა აერთიანებს შესასრულებელი პროექტის გარშემო მთელ სასკოლო საზოგადოებას. ის ხელს უწყობს თანამშრომლობას სასკოლო პერსონალის სხვადასხვა ჯგუფსა და მოსწავლეებს, ასევე, მათ მშობლებს შორის. პროგრამა უვითარებს მოსწავლეებს გუნდური მუშაობის უნარებს. ამავდროულად, პროგრამას შეუძლია გრძელვადიანი პოზიტიური გავლენა იქონიოს ახალგაზრდების, მათი ოჯახების, სკოლის თანამშრომლების და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ცხოვრებაზეც კი.

პროგრამის მეშვეობით ახალგაზრდებს უჩნდებათ შეგრძნება, რომ შეუძლიათ შეცვალონ გარემოსდაცვითი პოლიტიკა თავიანთ გარშემო. პრობლემების მოგვარებაში მათი მონაწილეობა შესაძლებელს ხდის, დაინახონ შედეგები და ამით დარწმუნდნენ თავიანთ შესაძლებლობებში.

UNESCO-სა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) მხარდაჭერით, ეკოსკოლა არის წამახალისებელი მექანიზმი, რომელიც დაკავშირებულია 2015-2030 წლების მდგრადი განვითარების მიზნებთან და აღიარებულია მთელ მსოფლიოში. ეს პროგრამა მონაწილე სკოლებს სთავაზობს შესაძლებლობას, ჩაერთონ გაცვლით პროცესებში და გააზიარონ თავიანთი გამოცდილება ეკოსკოლების ეროვნული და საერთაშორისო ქსელით. დღეს მთელ მსოფლიოში სკოლები ამ პროგრამის მეშვეობით ჩართულნი არიან მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.

როგორ მუშაობს ეკოსკოლების პროგრამა?

ეკოსკოლების პროგრამა მდგრადი განვითარებისთვის განათლების გავრცელების მიზნით იყენებს სისტემურ, ამავდროულად, ეტაპობრივ მიდგომას. ის სთავაზობს სკოლებს მოქნილ, შვიდსაფეხურიან მეთოდოლოგიას, რომელიც საშუალებას იძლევა პროგრამა განხორციელდეს სასურველი ტემპით. ეკოსკოლების პროგრამა ქმნის ერთგვარ ჩარჩოს, რომლის გარშემო ერთიანდება სრულიად სასკოლო საზოგადოება, ხოლო მოსწავლეებს ენიჭებათ წამყვანი როლი პროგრამის განხორციელებასა და მის წარმატებაში. ეკოსკოლების პროგრამა ეხმარება პროექტში ჩართულ მოსწავლეებს, გაიღრმავონ ცოდნა, განივითარონ უნარები, სწორი ღირებულებები. ზრდის მოტივაციას, რომელიც მათ სჭირდებათ გარშემო არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ.

პროგრამა იყენებს სკოლის შენობას და მასთან ასოცირებულ ტერიტორიებს (როგორებიცაა: საგანმანათლებლო ლაბორატორიები, ეზო, ბაღი და ა.შ). თითოეული სკოლა ირჩევს მდგრადი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ თემას ერთ ან ორწლიანი პროექტისთვის და ახორციელებს ინიციატივებს, რომლებიც მიზნად ისახავს მისი საქმიანობის პრაქტიკულ განხორციელებას. ამ მიზნის მიმართ განხორციელებული ინიციატივების პარალელურად ხორციელდება მდგრად განვითარებასთან ასოცირებული საგანმანათლებლო აქტივობები, რომლებიც ტარდება საკლასო ოთახში ან სკოლის გარეთ. ყოველ წელს შესაძლებელია ახალი თემის დამატება, საგანმანათლებლო პროცესის ეფექტიანი განვითარებისა და სასკოლო ცხოვრების უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით.

როდესაც სკოლა დაასრულებს შვიდ საფეხურს არჩეული თემის მიმართულებით, შეუძლია განაცხადი გააკეთოს მწვანე დროშის ჯილდოს მისაღებად, რათა აღნიშნოს და საზოგადოებას აცნობოს მის მიერ მიღწეული პროგრესის შესახებ. ჯილდოს გადასცემს ექსპერტთა დამოუკიდებელი კომისია და ამით აღნიშნავს სკოლის წარმატებას. ჯილდო მოქმედებს ორი წლის განმავლობაში. მისი განახლება შესაძლებელია ახალ თემაზე მუშაობით ან არსებულ თემაზე მუშაობის გავრცობით.

ეკოსკოლების პროგრამის განხორციელების შედეგებია:

- აცნობს მოსწავლეებს გარემოს;
- უვითარებს მათ პასუხისმგებლობისა და ზრუნვის გრძნობას;
- აძლიერებს მოსწავლეების ცოდნას გარემოსდაცვითი თემების და მეთოდების მიმართულებით;
- უზრუნველყოფს სკოლის მდგრადობას;
- ამცირებს ხარჯებს და ზოგავს რესურსებს სკოლაში, ოჯახებში, თემში;
- ახდენს გავლენას თემზე სკოლის გარშემო;
- აერთიანებს ცოდნასა და გამოცდილებას.

ეკოსკოლების პროგრამის სარგებელი

მოსწავლეები:

ის აძლიერებს მოსწავლეებს, უმაღლებს მოტივაციას, ისწრაფოდნენ სოციალური, ეკონომიკური და გარემოსდაცვითი სამართლიანობისაკენ. მოსწავლეებში ის ხელს უწყობს:

- განივითარონ ლიდერის უნარები საზოგადოებრივი ცვლილებებისათვის
- ჩამოყალიბდნენ, როგორც მომავალი გადაწყვეტილების მიმღებნი
- გაიფართოვონ ცოდნა საკლასო ოთახს მიღმა
- ხელი შეუწყონ პასუხისმგებლიანი დამოკიდებულებისა და ვალდებულების ჩამოყალიბებას
- აიმაღლონ თავდაჯერებულობა და მოტივაცია
- გაიუმჯობესონ უნარები და ცოდნა ყველა სფეროში, მათ შორის ჯგუფურ მუშაობაში
- გაიუმჯობესონ მენტალური და ფიზიკური კეთილდღეობა
- განივითარონ ცხოვრებისეული უნარები

სკოლა, თანამშრომლები, ოჯახი:

ეკოსკოლების პროგრამა უზრუნველყოფს:

- სკოლის გარემოსდაცვითი ზეგავლენის გაუმჯობესებას
- პროფესიული განვითარებისა და ტრენინგების შესაძლებლობებს მასწავლებლებისათვის
- ფინანსურ დანაზოგს
- მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებას სასკოლო პროგრამაში
- შინაგანი ფასეულობების განვითარების შესაძლებლობას (ზრუნვა, თანაგრძნობა, შემოქმედებითობა..)
- ბავშვებისა და თანამშრომლების კეთილდღეობას
- თანამშრომლებსა და მოსწავლეებში სკოლის მიმართ სიამაყის გრძნობის გაღვივებას
- პოზიტიურ მოდელს სამეზობლოსა და ქალაქისათვის.

თემი:

ეკოსკოლები არის ინკლუზიური პროგრამა, რომელშიც თავიდანვე ერთვება თემი. დროთა განმავლობაში სამეზობლოსა თუ ქალაქში გარემო უმჯობესდება და თემი გარემოს დაცვის მიმართ მეტ პასუხისმგებლობასა და მდგრადობას გამოავლენს. პროგრამა უზრუნველყოფს ადგილობრივი თემის, სხვა სკოლებისა და სხვა ორგანიზაციების ჩართულობას.

გლობალური გავლენა

მსოფლიოში ეკოსკოლების მონაწილეთა საკმაოდ ძლიერი ქსელი არსებობს. ეკოსკოლების პროგრამა ხელს უწყობს ურთიერთობებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, ის არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ინფორმაციის გაცვლას უზრუნველყოფს, არამედ ამაღლებს ცნობიერებას გლობალური საკითხების შესახებ.

ეკოსკოლების პროგრამის მიზნები და ამოცანები

ეკოსკოლების პროგრამის მიზანია ყველა სკოლის მდგრადობა, მოსწავლეების, სასკოლო საზოგადოებისა და თემის ქცევის პოზიტიური ცვლილება მდგრადი განვითარების მიზნების შესაბამისად..

ამავდროულად, ეკოსკოლების მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, რათა მათ შეიტანონ თავიანთი წვლილი დედამიწის მდგრად განვითარებაში პოზიტიური ქცევით, ქმედებაზე ორიენტირებული ინიციატივებით, სასწავლო და კვლევითი აქტივობებით, ურთიერთთანამშრომლობით.

ეკოსკოლების პროგრამის შედეგები

პროცესი	შედეგი
მოსწავლეთა მონაწილეობის მხარდაჭერა	კრიტიკული აზროვნების განვითარება
სიტუაციურ, რეალურ, ყოველდღიურ გარემოში სწავლება	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ტექნოლოგიების, ინჟინერიისა და მათემატიკის დარგში უნარების გაუმჯობესება
მოსწავლეთა მოქმედების ხელშეწყობა	პოზიტიური ქმედება, ლიდერობის უნარების განვითარება
ყველას ჩართვა (თემი, ოჯახი, ადგილობრივი მთავრობა)	ინკლუზიური განათლება

მოსწავლეთა მოტივირება	>	პასუხისმგებლობითი, ცვლილებებზე ორიენტირებული თანამშრომლობა
პროგრამის, თემების, ინსტრუმენტების თავსებადობა და გამოწვევების ანალიზი	>	მთლიანი სკოლის განვითარება, მდგრადობა

ეკოსკოლების პროგრამის მოკლე ისტორია

პირველი დეკადა 1992-2004 წ.წ.

- **1992 წ.** FEE -მ შეიმუშავა ეკოსკოლების პროგრამა გაეროს (UN) გარემოს დაცვისა და განვითარების კონფერენციაზე.

- **1994 წ.** FEE -მ დაიწყო ეკოსკოლების პროგრამის განხორციელება დანიაში, გერმანიაში, საბერძნეთსა და გაერთიანებულ სამეფოში, ევროპის კომისიის მხარდაჭერით.

- **2003 წ.** გაეროს გარემოსდაცვითმა პროგრამამ (UNEP) შეარჩია ეკოსკოლები 30 ქვეყანაში, როგორც მდგრადი განვითარების სამოდელო ინიციატივა.

მეორე დეკადა 2004- 2014 წ.წ.

- **2008-2009 წ.წ.** ტოიოტას ფონდი ევროპისათვის (Toyota Motor Europe Toyota Fund for Europe) მხარს უჭერს გარემოს დაცვის ინოვაციის პროექტის მეორე ციკლს, თემით: კლიმატის ცვლილება: დავზოგოთ ენერგია, რომლებიც განხორციელდა ექვს ქვეყანაში: იტალია, პორტუგალია, თურქეთი, ფინეთი, ნორვეგია და დანია

- **2010 წ.** ეკოსკოლებმა და მისმა პარტნიორმა პროგრამამ - ახალგაზრდა რეპორტიორები გარემოს დაცვისათვის, მიიღეს მეორე უდიდესი დაფინანსება „Wrigley Company Foundation“ - ისგან სამწლიანი კამპანიისათვის. FEE -მ ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის მეშვეობით, დაამყარა ურთიერთობები UNESCO -სთან.

- **2012 წ.** ეკოსკოლებისთვის 58 ქვეყანაში შეიქმნა ვებგვერდი, Facebook-ის გვერდი და განისაზღვრა მისი მსოფლიო მასშტაბით მოქმედების დღეები (World Days of Action), რომელიც მოგვიანებით გახდა FEE -ს გლობალური მოქმედების დღეები (Global Action Days).

მესამე დეკადა 2014 წ.

- **2015-2016 წ.წ.** FEE -მ ხელი მოაწერა თანამშრომლობის მემორანდუმს The Goals.org-თან და ახლა ეკოსკოლებს ხელი მიუწვდებათ მის ონლაინ მასალებზე მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ. ქვეყნებში, სადაც არ არის ადგილობრივი ოპერატორი, საერთაშორისო სკოლებს შეუძლიათ შეუერთდნენ ეკოსკოლებს, რომელთაც კოორდინაციას უწევს FEE-ს სათავო ოფისი.

- **2017 წ.** ეკოსკოლები კორპორატიულ პარტნიორობაში არიან წყლის, ნარჩენების და ენერგეტიკის Alcoa Foundation -თან, რომელსაც მოგვიანებით კლიმატის ცვლილებისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებიც დაემატა! Wrigley Foundation -ის გულუხვი მხარდაჭერის წყალობით, FEE ქმნის განვითარებადი ეკოსკოლების ფონდს, რომელიც სუბსაჰარის აფრიკის ქვეყნებს აძლევს უკეთეს შესაძლებლობებს ეკოსკოლების პროგრამის განხორციელებისთვის.

- **2018-2019 წ.წ.** HundrED.org ეკოსკოლებს აღიარებს როგორც უმაღლეს ინოვაციას განათლებაში. 68 ქვეყანამ მოაწერა ხელი 25 წლისთავის დეკლარაციას, და ამით აიღო ვალდებულება გააძლიეროს ახალგაზრდები მდგრადი მომავლისკენ სავალ გზაზე პოზიტიური ქმედებებისთვის. პროგრამა თავის 25-ე დაბადების დღეს აღნიშნავს ჰოლანდიაში, სადაც ატარებს ეროვნული ოპერატორების შეხვედრას (NOM - National Operators Meeting) ჯერ კიდევ 1994 წლიდან და იწყებს პირველ პროექტს ცირკულარული ეკონომიკის მიმართულებით.

ეკოსკოლების პროგრამის ღირებულებები

ეკოსკოლების პროგრამა ეფუძნება და იზიარებს შემდეგ ღირებულებებს:

ქმედება - ჩართულნი ვართ პოზიტიურ საგანმანათლებლო აქტივობებში;

თანამშრომლობა - აქტივობებში ვრთავთ დაინტერესებულ მხარეებს;

გამჭვირვალობა - ვართ პასუხისმგებლიანი და ანგარიშვალდებული;

უპირატესობა - ჩვენთვის ხარისხი მნიშვნელოვანია;

დემოკრატია - ჩვენი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი დემოკრატიულია.

ეკოსკოლების პროგრამის თემატიკა

კლიმატის ცვლილება განიხილავს ჩვენი ცხოვრების წესის ზეგავლენას კლიმატზე და იმას, თუ როგორ შეუძლიათ ჩვენს მონაწილეებს პოზიტიური გავლენის მოხდენა კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესზე.

ჯანმრთელობა და კეთილდღეობა წაახალისებს სკოლებს დანერგონ ჯანსაღი ცხოვრების წესი მოსწავლეებსა და მთლიანად თემში, და დააკავშირონ გარემოს დაცვა ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან.

გლობალური მოქალაქეობა და კულტურა ადგენს ჩვენს უფლებებსა და პასუხისმგებლობებს ეროვნულ, ევროპულ და გლობალურ დონეზე და წაახალისებს თანამშრომლებს, მოსწავლეებს და მშობლებს დააკვირდნენ მოხმარების ჩვევებს მსოფლიოს სხვა ნაწილებში.

თანასწორობა და თანაბრობა უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს თანასწორობისა და თანაბრობის მიღწევის მიმართულებით, განურჩველად სქესისა, ეთნიკური წარმომავლობის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის, რელიგიის ან სექსუალური ორიენტაციისა. ის ამაღლებს ცნობიერებას ყველას მიმართ თანასწორი დამოკიდებულების საჭიროების შესახებ და ხელს უწყობს სამართლიანობის დამკვიდრებას.

ბიომრავალფეროვნება და ბუნება სწავლობს სკოლის გარემოში არსებულ ფლორასა და ფაუნას და სთავაზობს გზებს ბიომრავალფეროვნების გაზრდისთვის; ამაღლებს საზოგადოების ცნობიერებას ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

ენერგია სთავაზობს გზებს, რათა სკოლებმა შეძლონ ერთობლივად მუშაობა სუფთა და ხელმისაწვდომი ენერგიის, აგრეთვე ენერგოდაზოგვის საკითხებზე ცნობიერების ამაღლებისა და სკოლის ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებისთვის.

სურსათი წაახალისებს ახალგაზრდებს, მათ მშობლებს და მთელ თემს გააკეთონ პასუხისმგებლიანი არჩევანი სურსათთან დაკავშირებით, და ყოველდღიურად იმოქმედონ გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებების მხარდაჭერის და საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესებისთვის.

ზღვა და სანაპირო აცნობს ბავშვებს ზღვის და სანაპირო ჰაბიტატებს, ადამიანების გავლენას მათზე და მათი დაცვის შესაძლებლობებს.

სკოლის ტერიტორია ეხმარება სკოლებს გააცნოს ბავშვებს ბუნებრივი გარემო და მრავალფეროვნება პრაქტიკულად, საკლასო აქტივობებთან ერთად შენობის გარეთ უსაფრთხო სწავლების გზით.

ტრანსპორტი სთავაზობს მოსწავლეებს, თანამშრომლებს და ადგილობრივ მთავრობას ტრანსპორტის საკითხებზე ერთობლივად მუშაობას ცნობიერების ამაღლების და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, რასაც მოსწავლეთა ყოველდღიურობის შეცვლა შეუძლია.

დანაგვიანება და ნარჩენები ადგენს გარემოზე ნარჩენების გავლენას და სთავაზობს ჩვენ მიერ ყოველდღიურად წარმოებული ნარჩენების მინიმუმამდე შემცირების გზებს.

წყალი განიხილავს წყლის მნიშვნელობას ადგილობრივ და გლობალურ დონეზე და ამაღლებს ცნობიერებას მარტივი ქმედებების შესახებ, რომლებსაც წყლის მოხმარების მნიშვნელოვნად შემცირება შეუძლიათ.

ეკოსკოლების პროგრამა და მდგრადი განვითარების მიზნები

ქვემოთ მოცემული ცხრილი ცხადყოფს, თუ როგორ ეხმიანება ეკოსკოლების პროექტი მდგრადი განვითარების პრაქტიკულად ყველა მიზნის მიღწევას, ასევე იგი შეიძლება წარმოადგენდეს კარგ ორიენტირს კონკრეტულ კონტექსტში ეკოსკოლების თემატიკის შერჩევისათვის:

როგორ მუშაობს ეკოსკოლების პროგრამა მდგრადი განვითარების ამ მიზანზე	თემა
სიღარიბის აღმოფხვრა ეკოსკოლები არის ინკლუზიური პროგრამა, რომელიც შეიძლება ადაპტირდეს ნებისმიერ სოციალურ და კულტურულ გარემოში.	გლობალური მოქალაქეობა

ნულოვანი შიმშილი

სკოლის მიწები

ეკოსკოლების პროგრამის სხვადასხვა თემები ხელს უწყობს კვების გაუმჯობესებას და საკვების მდგრად წარმოებას. ბევრ სკოლას აქვს ბაღები, რათა მოსწავლეებს ასწავლონ მდგრადი ზრდის ტექნიკა, გააცნონ ადგილობრივი საკვები პროდუქტების და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში.

ჯანმრთელი ცხოვრება და კეთილდღეობა

ჯანმრთელობა & კეთილდღეობა

ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის თემა ხელს უწყობს მოსწავლეებისა და ფართო საზოგადოების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას და აკავშირებს გარემოს და ჯანმრთელობას.

ხარისხიანი განათლება

ყველა თემა

ეკოსკოლების მეთოდოლოგია არის ძლიერი ინსტრუმენტი მდგრადი განვითარების ხარისხიანი სწავლების უზრუნველსაყოფად სკოლის ყველა დონეზე. მისი მთლიანი ინსტიტუციური მიდგომა უზრუნველყოფს ინკლუზიურ განხორციელებას მთელ საბავშვო ბაღში, სკოლაში ან კამპუსში, ასევე ყველა ბავშვისა და სტუდენტის მონაწილეობას.

გენდერული თანასწორობა

ყველა თემა

ეკოსკოლების პროგრამის განხორციელება, ასევე, ითვალისწინებს გენდერული თანასწორობის დამკვიდრების ხელშეწყობას, ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის ეკოსკოლების კომიტეტსა და სხვადასხვა აქტივობაში მონაწილეობის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფის გზით.

სუფთა წყალი და სანიტარია

წყალი

ეკოსკოლების პროგრამის ფარგლებში მოსწავლეები იაზრებენ წყლის და სანიტარიის მდგრადი მოხმარების მნიშვნელობას. წყლის თემა განსაკუთრებულად არის ორიენტირებული ამ საკითხზე, და ხაზგასმით აღნიშნავს წყლის მნიშვნელობას ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე, ასევე, ამაღლებს ცნობიერებას მარტივი ქმედებების შესახებ, რომლებსაც წყლის მოხმარების შემცირება შეუძლიათ.

ხელმისაწვდომი და მდგრადი ენერგია

ენერგია

ეკოსკოლების პროგრამა ხელს უწყობს ენერგოდამზოგველ ინიციატივებს და ინოვაციურ გადაწყვეტილებებს, სკოლებში და მოსწავლეების და მასწავლებლების სახლებში, ასევე, ზოგადად თემში ენერგიის მოხმარების შემცირების მიზნით. სკოლის ყველა წარმომადგენელი მუშაობს ერთად ენერგოსაკითხებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლების და სკოლის ენერგო მოხმარების შემცირების მიზნით. ამასთან, მოსწავლეები სწავლობენ, როგორ დაზოგონ ენერგია სახლში.

ღირსეული სამუშაო ეკონომიკური ზრდა

ყველა თემა

ეკოსკოლების პროგრამა ხელს უწყობს მდგრადობის საკითხების სიღრმისეულ გააზრებას სტუდენტების მიერ, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სამუშაო გარემოში. პროგრამის განხორციელებით მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გახდნენ მდგრადი განვითარების ლიდერები და მიიღონ მდგრადი გადაწყვეტილებები. ეკოსკოლების პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნა და გამოცდილება მოგვიანებით აამაღლებს მათ ინტერესს მდგრადი დასაქმების მიმართ და გააფართოებს მათ შესაძლებლობებს შრომის ბაზარზე.

მრეწველობა, ინოვაცია და ინფრასტრუქტურა

ტრანსპორტი

ეკოსკოლების პროგრამის განხორციელებით განათლების სექტორში ფართოვდება ინოვაციების გამოყენება მდგრადი განვითარებისთვის. ეკოკამპუსი უზრუნველყოფს ჩარჩოს სამეცნიერო კვლევებისთვის მდგრად ინოვაციებსა და პრაქტიკაში.

შემცირებული უთანასწორობა

გლობალური მოქალაქეობა

ეკოსკოლები არის გლობალური პროგრამა, რომლის ადაპტირება შესაძლებელია ეროვნულ და ადგილობრივ კულტურებსა და კონტექსტებთან. დღეისათვის დაახლოებით 70 ქვეყანა ექვს კონტინენტზე ახორციელებს ეკოსკოლების ერთობლივ პროგრამებს; ხოლო ეკოსკოლების კოორდინაცია მუდმივად ახდენს ახალი ქვეყნების მოტივაციას ჩაერთონ პროგრამაში, რათა გაფართოვდეს ქსელი და უზრუნველყოფილი იქნას ყველას ხელმისაწვდომობა განათლებაზე მდგრადი განვითარებისთვის.

მდგრადი ქალაქები და დასახლებები

დანაგვიანება, ნარჩენები

თემები, როგორებიცაა: მდგრადი საცხოვრებელი პირობები, ნარჩენების მართვა და პასუხისმგებლიანი მოხმარება, ინტეგრირება სასწავლო პროგრამაში, ასწავლის მოსწავლეებს, როგორ შეამცირონ მათი სკოლების და ცხოვრების წესის გარემოსდაცვითი ზეგავლენა. სკოლის გარემოში პასუხისმგებლიანი ქცევის ჩამოყალიბებით, მოსწავლეები, ასევე, ისწავლიან ღირებულებების დაფასებას და კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას მათ ქვეყანასა და საზღვარგარეთ.

მდგრადი მოხმარება და წარმოება

ნარჩენები

ეკოსკოლების პროგრამა თავისი მრავალი თემის მეშვეობით მხარს უჭერს პასუხისმგებლიან მოხმარებას და წარმოებას. მოსწავლეები წახალისებულნი არიან ასახონ მოხმარების ჩვევები და მიიღონ გადაწყვეტილებები რესურსების უფრო მდგრადი გამოყენებისთვის. Wrigley Company Foundation-ის და FEE-ს ერთობლივი ინიციატივის, Litter Less Campaign-ის მეშვეობით მოსწავლეები იღებენ ინფორმაციას მდგრადი მოხმარების შესახებ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში წაახალისებს ქცევის ცვლილებას.

კლიმატის ცვლილების საწინააღმდეგო ქმედებები

კლიმატის ცვლილება

ბევრი ქვეყანა ახორციელებს ეკოსკოლების პროგრამას და ცდილობს მოსახლეობაში აამაღლოს ცნობიერება კლიმატის ცვლილების მიმართ. სასკოლო აქტივობების მაგალითები მოიცავს პროექტებს წვიმის წყლის შეგროვების, ნიადაგის სტაბილიზაციის, სურსათის წარმოების, სანიტარიის, ნარჩენების მართვის და ბევრი სხვა საკითხის შესახებ.

ოკეანისა და ზღვის რესურსები

ზღვა & სანაპირო

ზღვების დაბინძურება და ოკეანის ექსპლუატაცია 21-ე საუკუნის ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა, ამიტომ ეფუძნება ეკოსკოლების ერთ-ერთი თემა სწორედ ზღვისა და სანაპირო გარემოს. მოსწავლეები სწავლობენ ზღვის დაბინძურებას და მის ნეგატიურ გავლენას ფლორასა და ფაუნაზე. ამასთან, მოსწავლეები იგებენ რაოდენ დიდი პასუხისმგებლობაა ოკეანის რესურსების გამოყენება.

ბიომრავალფერ
ოვნება & ბუნება

დედამიწის ეკოსისტემები

ეკოსკოლების პროგრამა ხელს უწყობს ეკოსისტემების დაცვას, აღდგენას და მდგრად მოხმარებას, ეკოკომიტეტის და მოსწავლეების მიერ განხორციელებული სხვადასხვა აქტივობების გზით. ორგანიზაციების, Toyota Motor Europe-სა და FEE-ს ერთობლივი ინიციატივა, Great Plant Hunt, წარმოადგენს ბიომრავალფეროვნებაზე ორიენტირებულ სპეციალურ კამპანიას, რომელიც ფოკუსირებულია მცენარეებზე. აღნიშნული მიზნად ისახავს მოსწავლეების განათლებას ბიომრავალფეროვნების და მისი მნიშვნელობის შესახებ, ასევე, წაახალისებს მათ პოზიტიურ ქმედებას ბიომრავალფეროვნებასთან მიმართებით.

მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუციები

გლობალური
მოქალაქეობა

სამართლიანობა და დემოკრატიული ღირებულებები ეკოსკოლების პროგრამების განუყოფელი ნაწილია. ეკოკომიტეტის მეშვეობით მოსწავლეები სწავლობენ, როგორ მუშაობს გადაწყვეტილების მიღების დემოკრატიული პროცესი და როგორ უნდა სცენ პატივი სხვის აზრს.

პარტნიორობა მიზნების მისაღწევად

Key Partner
UNESCO Global Action Programme on Education for Sustainable Development

მდგრადი განვითარების მიზნების იმპლემენტაცია ეკოსკოლის ქსელში მდგრადი განვითარებისთვის განათლების მეშვეობით მთელ მსოფლიოში ხორციელდება. ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე, პროგრამა თანამშრომლობს ინსტიტუციურ და კორპორატიულ პარტნიორებთან, რათა მხარი დაუჭიროს ახალ პროექტებს და ინიციატივებს რომლებიც ხელს უწყობენ მდგრად განვითარებას. მემორანდუმი International Foundation for the Young Masters Programme (ISYMP)-თან, სხვა დოკუმენტებთან ერთად უჭერს მხარს მდგრადობის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ასევე ხელი მოეწერა მდგრადი განვითარების პლატფორმის TheGoals.org ამოქმედებას.

თემის შერჩევა ეკოსკოლის პროგრამისთვის

როდის ავირჩიოთ თემა და რატომაა რთული მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული ყველა შესაძლო თემის მოკლე ხანში (რამდენიმე თვეში) დაფარვა. ერთ-ერთი პირველი გადაწყვეტილება რომელიც ეკოსხდომაზე უნდა მიიღოთ, პროექტისთვის თემის არჩევა იქნება. არაფერია სრულად იზოლირებული და, მიუხედავად იმისა, რომ თემებს შორის მრავალი გადაკვეთის წერტილი თუ ურთიერთკავშირი არსებობს, თემის ამორჩევის შედეგად თქვენი პროექტი გარკვეულ ჩარჩოში მოექცევა, რაც საშუალებას მოგცემთ თქვენი ძალისხმევა კონკრეტული სფეროსაკენ მიმართოთ და მეტად კონცენტრირდეთ დეტალებზე. შესაბამისად, არ დაიბნევით, დროს ფუჭად არ დაკარგავთ და შექმნით ეფექტურ, კარგად ორგანიზებულ აქტივობათა ქსელს.

როგორ ავირჩიოთ თემა?

თუ პროექტის გარშემო მთელი სკოლა აპირებს გაერთიანებას, მაშინ პროექტი მრავალმნიშვნელოვანი უნდა იყოს და ენთუზიაზმს აღვიძებდეს. ამიტომაცაა თემის შერჩევა მნიშვნელოვანი - ის პროექტის მთავარი საფუძველი იქნება. უნდა აირჩიოთ თემა, რომელიც არა მარტო თქვენთვის, არამედ მთელი სასკოლო საზოგადოებისათვისაა მნიშვნელოვანი. კარგი აზრია მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის გამოკითხვის ჩატარება, ამ ხერხით გაარკვევთ, რომელი თემაა საინტერესო ადამიანთა უმეტესობისათვის. თავისუფლად შეგიძლიათ, ჩაატაროთ კვლევა, და დაადგინოთ, რა იქნება ყველზე შესაფერისი თქვენი სკოლისა და საზოგადოებისათვის.

თემამ ყველაზე მეტად მოსწავლეთა მოტივირება და ინტერესი უნდა გამოიწვიოს, საჭიროა მათ იგრძნონ ჩართულობა, რათა საკითხის გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღება მოუნდეთ, ამიტომაც თემის შერჩევის პროცესში მათი მონაწილეობა მნიშვნელოვანია.

გირჩევთ, რომ ერთ ჯერზე მხოლოდ ერთ თემაზე იმუშაოთ, ეს უფრო აადვილებს საქმეს. თუმცა ეკოსკოლების პროგრამის მმართველ გუნდთან შეთანხმების შემდეგ, უფლება გაქვთ ერთდროულად ორი თემაც შეარჩიოთ. ამ ნაწილში სხვადასხვა თემასა და მათთან დაკავშირებულ საკითხებს შემოგთავაზებთ, რაც თქვენი თემის არჩევის დროს ინსპირაციად გამოდგება.

თემაზე მუშაობის ხანგრძლივობა

ეკოსკოლების პროგრამა უზრუნველყოფს მოქნილ ჩარჩოს სკოლის პროექტისთვის და საშუალებას აძლევს ეკოკომიტეტს, დაუთმოს კონკრეტულ თემას ერთი ან ორი სასწავლო წელი. თუ ერთი წელი არ იქნება საკმარისი პროექტის დამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის, დაემატება კიდევ მეორეც, იმ პირობით თუ პროექტის პროგრესი და წინსვლა გაგრძელდება.

სკოლებს, რომლებიც მიიღებენ მწვანე დროშას ერთი თემის შესრულების შედეგად, შეუძლიათ მომდევნო პროექტისათვის ახალი თემა აირჩიონ. ამასთანავე, უფლება აქვთ იმავე თემაზეც გააგრძელონ მუშაობა, თუ ახალი აუდიტორიის ინფორმირებას შეძლებენ და თემას კიდევ უფრო დეტალურად შეისწავლიან.

ეკოსკოლების პროგრამის დანერგვის მეთოდოლოგია

ეკოსკოლის დაფუძნებისთვის, სკოლამ საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით შვიდი (7) საფეხური უნდა გაიაროს. 7-საფეხურიანი ჩარჩო არის სისტემური მიდგომა, რომლითაც სკოლა გეგმავს და ახორციელებს ეკოსკოლების პროგრამას. აღნიშნული იძლევა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას მთლიანი სკოლის დონეზე აქტიური სწავლისა და პრაქტიკული საქმიანობის გზით. შედეგად, უზრუნველყოფს მთლიანი სკოლის ფორმირებას ეკოსკოლად.

ნებისმიერ სკოლას შეუძლია შეუერთდეს ეკოსკოლების პროგრამას, იქნება ეს დაწყებითი საბაზო თუ საშუალო საფეხური, ასევე სკოლამდელი ასაკის დაწესებულება.

შვიდსაფეხურიანი ჩარჩო ხელმძღვანელობს მდგრადი განვითარების პრინციპებით და ხელს უწყობს მდგრად ცხოვრებასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხის მოგვარებას სკოლისა და თემის დონეზე. ჩარჩო განიხილავს მოსწავლეს, როგორც ეკოსკოლების მამოძრავებელ ძალას: მოსწავლეები ქმნიან და უძღვებიან ეკოკომიტეტებს, ხელს უწყობენ გარემოსდაცვითი საკითხების მიმოხილვას სკოლის გარემოს და საქმიანობის შეფასების მიზნით. სკოლის სხვა წარმომადგენლებსა და თემთან თანამშრომლობით, სწორედ მოსწავლე წყვეტს, რომელი გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარება სურს და როგორ უნდა გაითვალისწინოს ეს სამოქმედო გეგმაში. ამგვარად, შვიდივე საფეხური თავისი არსით ბავშვზე ორიენტირებულია, ხოლო მასწავლებლებს ფასილიტატორის როლი აქვთ. თუმცა მასწავლებლები არა მხოლოდ მითითებებს იძლევიან, არამედ თავადაც სწავლობენ - ბავშვებთან ერთად ქმნიან სასწავლო მოგზაურობას სწრაფად ცვალებად სამყაროში. ამ მოგზაურობაში გარემოსდაცვითი თემები არის „საშუალება“, რომლის მეშვეობით მიიღწევა ცვლილება ბავშვების დამოკიდებულებებში, ცოდნაში, უნარებსა და, რაც მთავარია, ქცევაში.

სკოლები ცდილობენ, მიიღონ საერთაშორისო მწვანე დროშის ჯილდო (International Green Flag award), რომელიც წარმატებული გარემოსდაცვითი აქტივობის სიმბოლოა. შესრულების ინდიკატორები (კრიტერიუმები), რომლებიც ეკოსკოლას მწვანე დროშის ჯილდოს მისაღებად სჭირდება, მკაცრია, მაგრამ არა - გადამეტებული. ისინი შემუშავებულია თავად სკოლების მიერ განსაზღვრული მიზნების საფუძველზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნებისმიერ სკოლას შეუძლია გახდეს უფრო მდგრადი. ეკოსკოლების პროგრამა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ამ პროცესს თავისი შვიდსაფეხურიანი ჩარჩოს მეშვეობით.

ეკოსკოლების პროგრამის საშუალებით მოსწავლე შეიცნობს სამყაროს, რომელიც შორს არის იდეალურისგან, მაგრამ, ამავდროულად, სწორედ ეს უჩენს მეტ ინტერესს და გამოწვევების დაძლევის სურვილს.

ეკოსკოლების პროგრამის 7 საფეხური	მოსალოდნელი შედეგი
ეკოკომიტეტის ფორმირება	ეკოკომიტეტი ხელმძღვანელობს და ეხმარება დაწესებულებას ეკოსკოლად გარდაქმნის გზაზე. კომიტეტის საქმიანობაში ჩართულია სკოლის საზოგადოების ყველა წარმომადგენელი. კომიტეტის ეფექტიანი მუშაობა უზრუნველყოფს „ცვლილების ლიდერების“ (change agent) ჩამოყალიბებას.
მდგრადობის აუდიტი	პროცესის მიზანია ადგილობრივ კონტექსტში (სკოლაში, თემში, რაიონში) მიმდინარე პროცესების გაცნობიერება და იმის შეფასება, თუ რა სახის ეკონომიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი პროცესები მიმდინარეობს, რამდენად უწყობს სკოლის ცხოვრება ხელს გარემოს სამომავლო გაუმჯობესებას მდგრადი განვითარების მიზნებთან კავშირში, ან რა ზიანს აყენებს მას.

სამოქმედო გეგმის მომზადება	პრიორიტეტების, კონკრეტული და მიღწევადი მიზნების განსაზღვრა დასრულების თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით.
მონიტორინგი და შეფასება	დაგეგმილი ცვლილების განხორციელება, დასახული მიზნების მიღწევის მიმართულებით პროგრესის შეფასება და საჭირო შესწორებების შეტანა საქმიანობაში.
კავშირი სასკოლო პროგრამასთან	მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების გათვალისწინება სტანდარტებსა და საგნებში, სასწავლო აქტივობებში და სასკოლო ღონისძიებებში, ასევე არაფორმალური განათლების სივრცეში
ინფორმირება და ჩართვა	განხორციელებული საქმიანობის საჯაროობა და ცნობიერების ამაღლება დაინტერესებული მხარეების და მთელი თემის/საზოგადოების ინფორმირებულობის და ჩართულობის მიზნით.
ეკოკოდექსის შექმნა	ეკოკოდექსი არის განაცხადი ჩამოყალიბებული ღირებულებების შესახებ და ახდენს მთელ სკოლაში მდგრადობის კულტურის გავრცელების დემონსტრირებას.

ეკოსკოლის 7 საფეხური

1. ეკოკომიტეტის ფორმირება
2. მდგრადობის აუდიტი
3. სამოქმედო გეგმის მომზადება
4. მონიტორინგი და შეფასება
5. კავშირი სასკოლო პროგრამასთან
6. ინფორმირება და ჩართვა
7. ეკოკოდექსის შექმნა

ეკოსკოლების პროგრამის შვიდი საფეხური - პრაქტიკული რჩევები და დანართები

1

საფეხური 1. ეკოკომიტეტის ფორმირება

ეკოკომიტეტი არის გუნდი, რომელიც უზრუნველყოფს ეკოსკოლების პროგრამის მიმდინარეობის ზედამხედველობას. ის არის პროგრამის მამოძრავებელი ძალა და უზრუნველყოფს ეკოსკოლების მეთოდოლოგიის შვიდივე საფეხურის შესრულებას. ის ასევე პასუხისმგებელია კომუნიკაციაზე, ზრუნავს, რომ სკოლაში ყველამ მიიღოს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და პროგრესის შესახებ.

ეკოკომიტეტის სტრუქტურა

ეკოკომიტეტს შესაძლოა ჰქონდეს სხვადასხვა ფორმა. თავად სკოლა იღებს გადაწყვეტილებას მისთვის ყველაზე მოსახერხებელი ფორმის შერჩევის შესახებ - არ არსებობს სწორი ან არასწორი გადაწყვეტილება. სტრუქტურა, რომელიც ზედმეტად ბევრ ადამიანს აერთიანებს ყოველთვის არ არის ეფექტური. უმჯობესია ეკოკომიტეტის ჩამოყალიბება დავიწყოთ იმ ადამიანების ინტერესებისა და შესაძლებლობების გამოყენებით, რომლებიც განსაკუთრებულად მოტივირებული არიან, ხოლო მოგვიანებით, პროგრამის მსვლელობისას, მივცეთ ეკოკომიტეტს გაფართოვების შესაძლებლობა. შესაძლოა, თავიდან რთული იყოს მთელი სასკოლო საზოგადოების მობილიზება, მაგრამ სრულებით არ არის აუცილებელი ყველა ჩაერთოს პროგრამის დასაწყისშივე. თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეკოკომიტეტი გახდეს მთელი სასკოლო საზოგადოების წარმომადგენელი და მის შემადგენლობაში გაერთიანდეს სხვადასხვა ასაკის, ინტერესების, აკადემიური მიღწევის მქონე მოსწავლეები, ასევე მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მშობლები, ადგილობრივი პარტნიორები და სხვა. შემადგენლობა შეიძლება დაკომპლექტდეს, სურვილისამებრ, გარემოსდაცვითი საკითხებით დაინტერესებული ყველა პირისგან.

ეკოსკოლების პროგრამა, უზრუნველყოფს მოქნილ ჩარჩოს სკოლის პროექტისთვის და საშუალებას აძლევს ეკოკომიტეტს, დაუთმოს კონკრეტულ თემას ერთი ან ორი სასწავლო წელი. თუ ერთი წელი არ იქნება საკმარისი პროექტის დამაკმაყოფილებლად შესრულებისათვის, დაემატება კიდევ მეორეც, იმ პირობით თუ პროექტის პროგრესი და წინსვლა გაგრძელდება.

ეკოკომიტეტის ნომინაცია და შერჩევა

ეკოკომიტეტი მაქსიმალურად უნდა წარმოადგენდეს დაინტერესებული მხარეების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს.

ზოგი სკოლა ეკოკომიტეტის წევრების შესარჩევად მიმართავს ერთიან საარჩევნო პროცესს - საარჩევნო განცხადებებით, პლაკატებით, ბიულეტენებით. არჩეული კომიტეტი წარმომადგენლობითია, რაც მის სტატუსს ამაღლებს.

საკუთარი თავის ან სხვების ნომინაცია ეკოკომიტეტის ფორმირების კიდევ ერთი გზაა. მოხალისე მოსწავლეები, მასწავლებლები და სკოლის სხვა წარმომადგენლები გამოხატავენ ინტერესს და რეგისტრირდებიან კომიტეტში.

კომიტეტის წევრების არჩევა მასწავლებლების ან სკოლის თანამშრომლების მიერ არ არის წახალისებული.

ეკოკომიტეტის საქმიანობა

მას შემდეგ რაც ეკოკომიტეტი შეიქმნება, უნდა დანიშნოს ეკოსკოლის კოორდინატორი, რომელიც გაუძღვება შეხვედრებს და გახდება საკონტაქტო პირი ეკოსკოლების პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაციისათვის.

მნიშვნელოვანია, რომ ეკოკომიტეტში შეიქმნას პატივისცემისა და ნდობის ატმოსფერო, რათა ყველამ იგრძნოს საკუთარი მნიშვნელობა და კომფორტული იყოს მონაწილეობა. ზოგიერთი წევრი შესაძლოა სხვებზე აქტიური იყოს, ამიტომ ეკოკომიტეტი იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ ყველას ჰქონდეს საუბრის საშუალება, ინიციატივის გამოჩენის შესაძლებლობა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოთ მოსწავლეებს, მათ შესაძლოა უხერხულება შეექმნათ უფროსებთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობისას, ამიტომ უნდა მიეცეთ აზრის გამოხატვის შესაძლებლობა.

როლები და პასუხისმგებლობები ისე უნდა განაწილდეს, რომ ეკოკომიტეტის წევრები არ შეიზღუდონ მინიჭებული როლით; მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობების განაწილება ისე, რომ თითოეულმა ადამიანმა იცოდეს, კონკრეტულად რა უნდა აკეთოს. მაგალითად, აირჩიეთ ეკოსკოლის კოორდინატორი, რომელიც გაუძღვება შეხვედრებს, განსაზღვრეთ დოკუმენტების წერაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე განსაზღვრეთ, ვინ იქნება პასუხისმგებელი თვალი მიადევნოს შეთანხმებული საფეხურების შესრულებას და სხვა.

მნიშვნელოვანია წერილობით ჩანაწერების წარმოება და შენახვა, რათა გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ინფორმაცია გავრცელდეს მთელ სასკოლო საზოგადოებაში. შეხვედრის ოქმი შესაძლოა შემოიფარგლოს შემდეგი საკითხებით: ვინ რას აკეთებს, როდის აკეთებს და სად აკეთებს. ეს შესაძლებელს გახდის ინფორმაციის თანაბრად გავრცელებას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც კომიტეტის რომელიმე წევრი შეხვედრას არ ესწრება.

შეხვედრების რაოდენობა დამოკიდებულია ორგანიზაციაზე, მაგრამ ეკოკომიტეტი უნდა შეიკრიბოს წელიწადში რამდენჯერმე, პროგრამის განხორციელების შესახებ ინფორმაციის განახლების მიზნით. ნებისმიერ შემთხვევაში, კომიტეტი უნდა შეიკრიბოს მინიმუმ სამჯერ: პროგრამის დასაწყისში, შემდეგ მისი მსვლელობისას, რათა შეისწავლოს რამდენად მიიღწევა მიზნები და დასასრულს, საბოლოო შეფასების მიზნით. ასევე მნიშვნელოვანია ეკოკომიტეტის წევრების ნაწილის ჩანაცვლება ყოველწლიურად. ფაქტობრივად, შესაძლოა, რომ ეკოკომიტეტში სასკოლო საზოგადოების ბრუნვის მაჩვენებელი ძალიან მაღალი იყოს და ახალი წევრების შეერთება განხორციელდეს ნებისმიერ დროს. ეს ხელს შეუწყობს ახლად წარმოქმნილი საჭიროებების სწრაფად დაკმაყოფილებას, დაგეგმილი აქტივობების შესრულებისას წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრას. თუმცა, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ წევრების ნაწილი დარჩეს ეკოკომიტეტში სულ მცირე ორი წლის განმავლობაში მაინც, რათა მოხერხდეს ინფორმაციის გადაცემის უწყვეტობა და დაწყებული საქმიანობის შეუფერხებელი გაგრძელება.

ამგვარად, ეკოკომიტეტის საქმიანობის პროცესში გასათვალისწინებელია, რომ:

- ეკოსკოლას ჰყავდეს კოორდინატორი
- განსაზღვრული იყოს როლები და ფუნქციები, კონკრეტულ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები
- განსაზღვრული იყოს, რა სიხშირით შეიკრიბება ეკოკომიტეტი
- განსაზღვრული იყოს, რამდენად ხშირად შეიცვლებიან წევრები
- განსაზღვრული იყოს, თუ როგორ უნდა გავრცელდეს ინფორმაცია
- ეკოსკოლის შეხვედრები აუცილებლად გაფორმდეს წერილობით, ოქმის სახით.

ეკოკომიტეტის მნიშვნელობა მოსწავლეთათვის

ეკოკომიტეტი მოსწავლეებში აძლიერებს ლიდერობის უნარ-ჩვევებს და დემოკრატიული პრინციპების მიმართ გამოცდილებას. ისინი სწავლობენ, თუ როგორ მიიღონ გადაწყვეტილება, აიღონ პასუხისმგებლობა, მიიღონ მონაწილეობა დებატებსა და მოლაპარაკებებში. რაც მთავარია, ისინი სწავლობენ, პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებებს, მიაღწიონ კონსენსუსს და იმუშაონ გუნდურად. ეკოკომიტეტის წევრობა მოითხოვს ემოციების კონტროლს, პუნქტუალობას და პასუხისმგებლობას.

ეკოკომიტეტის ფორმირების შესრულების ინდიკატორები

ეკოკომიტეტს ირჩევენ ან წარადგენენ მოსწავლეები

ეკოკომიტეტის მამოძრავებელი ძალა მოსწავლეები არიან

ეკოკომიტეტის სხდომებს თავმჯდომარეობენ მოსწავლეები

ეკოკომიტეტის წევრების რაოდენობა საკმარისი და ეფექტურია

ეკოკომიტეტი იკრიბება რეგულარულად

ეკოკომიტეტის სხდომების ოქმები და გადაწყვეტილებები იწერება.

ეკოკომიტეტის წევრები რჩებიან კომიტეტში მეორე წელს, რათა უზრუნველყონ თანმიმდევრული გადასვლა მომდევნო ციკლზე.

რჩევები ეკოკომიტეტის საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსამზადებლად

ეკოკომიტეტის სხდომის კარგი ხარისხის ოქმი უნდა მოიცავდეს შემდეგს:

- დღის წესრიგის მკაფიო აღწერა
- დამსწრეთა სია
- შეხვედრამდე განხორციელებულ ქმედებათა ჩამონათვალი
- შემდგომი ქმედებების ჩამონათვალი, პასუხისმგებელ პირთა მითითებით.

ეკოსკოლების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას გაითვალისწინეთ და მიუთითეთ

ვინ ხელმძღვანელობს/ ატარებს შეხვედრებს?	
ვინ ამზადებს ოქმს/ იწერს შეხვედრის მსვლელობას?	
ამჟამად რა სიხშირით იკრიბება თქვენი გუნდი?	
ამ დრომდე რამდენჯერ დაესწრო შეხვედრას მშობელი მასწავლებელი, მოხალისე?	
როგორ ხდება შეხვედრის მიმდინარეობისას გადაწყვეტილების მიღება?	
როგორ წარმოადგენენ თავიანთ მოსაზრებებს მოსწავლეები, რომლებიც არ არიან კომიტეტის წევრები?	
როგორ ურთიერთობს ეკოკომიტეტი დანარჩენ სკოლასთან	

ეკოკომიტეტის შეხვედრის ოქმის ნიმუში

შეხვედრის ოქმი

ეკო კომიტეტის შეხვედრა No _____ ადგილი _____

თარიღი _____ თემა _____

მონაწილეები

მოსწავლეები (კლასები)	უფროსები (პოზიცია/სტატუსი)

არ გამოცხადდა

_____

_____

დღის წესრიგი

- მისალმება, შეხვედრის გახსნა.
- დღის წესრიგის დამტკიცება.
- წინა შეხვედრების/ოქმების მიმოხილვა.
- პუნქტი 1. _____
- პუნქტი 2. _____
- პუნქტი 3. _____
- პუნქტი 4. _____

- პუნქტი 5. _____
- სხვა კითხვები/ ნებისმიერი სხვა საკითხი
- მომდევნო შეხვედრის თარიღი და დრო
- შეხვედრის დასრულება/დასკვნა

ჩანაწერი			
No	განხილული საკითხები/ დაგეგმილი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი	საბოლოო ვადა

საფეხური 2. მდგრადობის აუდიტის ჩატარება

მდგრადი განვითარების აუდიტი ეკოსკოლების პროგრამის ქვაკუთხედია. მდგრადობის აუდიტის მიზანია სკოლის მდგრადობის სტატუსის დადგენა და მოსწავლეების უნარების განვითარება.

აუდიტი ერთგვარი კვლევაა. კვლევის გამოცდილება აყალიბებს დამოკიდებულებებს, ღირებულებებს და განწყობებს მტკივნეულ საკითხებთან დაკავშირებით, აძლევს ახალგაზრდებს მეტ მოტივაციას გარემოს დასაცავად. პროცესი ავითარებს კვლევის, ანალიზის უნარებს, შემეცნების სურვილს. მოსწავლეები ეუფლებიან მონაცემების შეგროვებისა და მათი სწორად გამოყენების ხერხებს, განსაზღვრავენ და ასაბუთებენ სკოლის საჭიროებებს, უვითარდებათ პრიორიტეტების განსაზღვრის უნარი.

პროცესში ექსპერტების მონაწილეობა, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, მიიღონ გამოცდილება სამომავლო კარიერის შესახებ და სიღრმისეულად ჩასწვდნენ საკითხს. აუდიტის შედეგების საფუძველზე დგება სამოქმედო გეგმა. შეგროვებული მონაცემები მნიშვნელოვანად ეხმარება ეკოკომიტეტს განსაზღვროს სტრატეგია, თუ როგორ გადაწყვეტოს აღნიშნული პრობლემა.

აუდიტის ჩატარება შინაარსობრივად უკავშირდება ერთ კონკრეტულ თემას. თუმცა თემის შერჩევის მიზნით სკოლას შეუძლია განახორციელოს წინარე გამოკითხვა/ გამოკვლევა, რაც ასევე ემსგავსება აუდიტს. ამ შემთხვევაშიც, სკოლაში არსებული მდგომარეობა ფასდება მდგრადობის კუთხით, თუმცა ერთდროულად რამდენიმე თემატური მიმართულებით. გამოკითხვის ნიმუში თემის შესარჩევად თან ახლავს გზამკვლევის მასალებს.

რა არის მდგრადი განვითარების აუდიტი?

აუდიტის საშუალებით ეკოკომიტეტი და მთლიანი სკოლა აფასებს მდგრადობის ხარისხს სამივე დონეზე: ეკონომიკური (ფინანსური), საზოგადოებრივი და გარემოსდაცვითი. ფასდება შესაბამისი ბუნებრივი, სოციალური (ადამიანური) და ეკონომიკური რესურსების არსებობა სკოლასა და თემში, მათი გამოყენების პრაქტიკა და მათი განვითარების შესაძლებლობები. აგრეთვე, აუდიტი განსაზღვრავს სკოლაში არსებულ საწყის ვითარებას მდგრადობასთან დაკავშირებული პრობლემების მხრივ, შეისწავლის რა მათ მენეჯმენტსა და პრაქტიკული გადაჭრის გზებს. აუდიტის პროცესში უნდა შეფასდეს სამოქმედო გეგმის განხორციელებაში მონაწილეობის სურვილი და შესაძლებლობა სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მხრიდან. აგრეთვე, შესწავლილ უნდა იქნას მიმდინარე საგანმანათლებლო პროექტები და აქტივობები, რომელთაც შესაძლებელია, რომ დაუკავშირდეს მომავალი საქმიანობა. აუდიტი უნდა ჩატარდეს იმ თემასთან დაკავშირებით, რომელსაც სკოლა აირჩევს სამუშაოდ.

როგორ ტარდება აუდიტი?

პრაქტიკულ დონეზე, ეკოსკოლების პროგრამა რეკომენდაციას უწევს კონკრეტული თემის შესაბამისი აუდიტის გეგმის (ჩეკლისტის) გამოყენებას სკოლის საწყისი პოზიციის შეფასებისთვის.

აუდიტის გეგმა-ჩეკლისტი წარმოადგენს რაოდენობრივი და თვისობრივი კითხვების წყებას, რომელიც ეხმარება სასკოლო საზოგადოებას, დაფიქრდეს და გაიაზროს სკოლის პრობლემატიკა, არსებული მდგომარეობა და მენეჯმენტის არსებული მიდგომა შერჩეული თემის მიმართ; ასევე, დაინახოს თავისი მონაწილეობის შესაძლებლობა ამ მიმართულებით.

ეკოსკოლების პროგრამა წარმოადგენს აუდიტის სხვადასხვა ნიმუშს ასაკისა და კლასების მიხედვით. თუმცა თქვენ შეგიძლიათ ამ ნიმუშების ადაპტირება, ან თავად მოიფიქროთ აუდიტის ფორმა, რომელიც შეესაბამება თქვენი სკოლის კონტექსტსა და საჭიროებებს.

მზადება აუდიტის ჩატარებისთვის

აუდიტის დროს ტარდება სხვადასხვა მრავალფეროვანი ღონისძიება. ისინი შესაძლოა მოიცავდნენ: ინსტრუმენტებით გაზომვებს, საველე დაკვირვებებს, არსებული მონაცემების შეგროვებას, ინტერვიუებს, ან თუნდაც ქცევაზე დაკვირვებას. კარგად ჩატარების შემთხვევაში, აუდიტი მოგცემთ შესაძლებლობას განსაზღვროთ სამუშაო მიმართულებები და მოამზადოთ სამოქმედო გეგმა. ამდენად, მნიშვნელოვანია მისთვის მნიშვნელოვანი დროის და ყურადღების დათმობა. წინასწარი მომზადება მნიშვნელოვანია აუდიტის წარმატებით ჩატარებისთვის.

პირველ ყოვლისა, შეაგროვეთ ყველა საჭირო დოკუმენტი (მაგალითად; სკოლის რუკა, ინვოისები, ESD პროექტების სია, და სხვა), მოამზადეთ აღჭურვილობა (კამერა, სამუშაო ხელთათმანები და სხვა) და წინასწარ შეატყობინეთ რესპონდენტებს, რომ ხელმისაწვდომი იყვნენ აუდიტის პროცესში.

იმისათვის, რომ შეძლოთ პროგრამის განხორციელების პროცესში თქვენი ინიციატივების რეალური გავლენის შეფასება, შეფასების ინდიკატორები უნდა განისაზღვროს აუდიტის ეტაპზე. შერჩეული ინდიკატორების პერიოდული შეფასება საშუალებას მოგცემთ, დროთა განმავლობაში აკეთოთ შედარებები და დააკვირდეთ პროგრესს.

პროგრესის შეფასება მოსახერხებელია რაოდენობრივ ინდიკატორებზე დაკვირვებით. მაგალითად, ნარჩენების მართვის ახალი სისტემის ეფექტიანობა შესაძლოა შეფასდეს გადამუშავებული (რეციკლირებული) ქაღალდის, ორგანული ნარჩენების და პლასტიკატის ბოთლების რაოდენობის მიხედვით. ასევე, წყლის დაზოგვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანია შესაძლოა შეფასდეს, წყლის ყოველთვიური ქვითრების შემოწმებით. მეორე მხრივ, პროგრესზე დაკვირვება შესაძლებელია თვისობრივი ინდიკატორების მეშვეობით. ველური ყვავილების მდელოს შექმნის გავლენა შესაძლოა წარმოდგენილი იქნას ცხოველების და მცენარეების ახალი ჯიშების გამოჩენის ამსახველი ფოტოებით. რომელი ინდიკატორის გამოყენებაც არ უნდა გადაწყვიტოთ, ის უნდა იყოს რელევანტური, ხელმისაწვდომი და მარტივი მონიტორინგისთვის.

აუდიტში მონაწილეობს ყველა

მიუხედავად იმისა, რომ აუდიტის პროცესს ეკოკომიტეტი მართავს, მდგრადი განვითარების აუდიტი იდეალური საშუალებაა, რომ პროცესში ჩაერთოს მთელი სასკოლო საზოგადოება.

მოსწავლეები წარმოადგენენ პროგრამის ძირითად სამიზნეს და მათი ჩართვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამ პროცესში მონაწილეობა საშუალებას აძლევს მათ გაიუმჯობესონ ცოდნა, უნარები, შეცვალონ ქცევა.

ასევე მნიშვნელოვანია, მოცემულ სფეროში გამოცდილების მქონე ადამიანების ჩართვა. მაგალითად, ტექნიკური პერსონალი, რომელსაც აქვს სპეციფიკური უნარები და შეუძლია ხელი შეუწყოს რიგი პრობლემების გააზრებას და თუნდაც შემოგთავაზოთ პრობლემების გადაჭრის გზები. ადგილობრივი თემის წევრები, ასევე, შეიძლება გახდნენ ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყარო და ხელი შეუწყონ პროგრამის გავრცელებას სკოლის საზღვრებს გარეთ. მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ ეკოსკოლა არის მთელი სკოლის პროგრამა და არავითარ შემთხვევაში არ ეხება მხოლოდ ერთ ადამიანს. დავალებების განაწილება წაახალისებს უფრო ფართო მასშტაბებს და ხელს შეუწყობს მონაწილე პირთა სამუშაო დატვირთვის შემსუბუქებას. ასევე შეგიძლიათ, აუდიტთან დაკავშირებული საქმიანობა გაუნაწილოთ მოსწავლეების სხვადასხვა ჯგუფს, რომლებიც შესაძლოა არ იყვნენ ეკოკომიტეტის წევრები. ამით თავიდან აირიდებთ ხანგრძლივ და მძიმე შრომით ტვირთს, თუმცა არა ანალიზის სიღრმისა და სიზუსტის შემცირების ხარჯზე.

აუდიტის შედეგები არ უქმნიან რისკს მწვანე დროშის ჯილდოს მიღებას

როდესაც აუდიტი ჩატარდება, რეკომენდებულია გაანალიზოთ და შეაჯამოთ შედეგები. მაგალითად, თქვენ შეგიძლიათ ჩამოაყალიბოთ რეკომენდაციები განხორციელებული ქმედებების შეფასების საფუძველზე და განიხილოთ შემდგომ გაგრძელების გზები.

გამოვლენილი პრობლემატიკა გაანაწილეთ მათი პრიორიტეტულობის მიხედვით, თუმცა გაითვალისწინეთ თქვენი სკოლის ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსები. გაასაჯაროვეთ აუდიტის შედეგები, ვინაიდან ისინი ღირებულია კომუნიკაციისა და ცნობიერების ამაღლებისათვის.

ეკოსკოლების პროგრამის წარმატება არ ეფუძნება თქვენს სკოლაში არსებულ ვითარებას, რომელიც აუდიტმა გამოავლინა. ეს არ შეგიშლით ხელს მწვანე დროშის ჯილდოს მიღებაში. ეკოსკოლების მწვანე დროშა განასახიერებს უწყვეტი გაუმჯობესების სულისკვეთებას და უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს სკოლის სურვილს, მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს პრაქტიკა, შეცვალოს ინდივიდუალური და კოლექტიური ქცევა მდგრადობის მიმართულებით. ამდენად, მნიშვნელოვანია ეს ნაბიჯი განხორციელდეს სამართლიანად, პატიოსნად და კეთილსინდისიერად.

აუდიტის შედეგების განხილვა ხორციელდება კომპლექსური და ინტერდისციპლინარული მიდგომის საფუძველზე. მოსწავლეები მიმართავენ სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს სასკოლო საზოგადოებაში, აგროვებენ ინფორმაციას კონკრეტული საკითხის მიმართ არსებული სხვადასხვა პერსპექტივის შესახებ, აყალიბებენ არგუმენტებს და განსაზღვრავენ პოზიციებს, იღებენ გადაწყვეტილებებს განსახორციელებელ აქტივობების შესახებ ჯგუფური დისკუსიების შედეგად. საკითხების სხვადასხვა პერსპექტივიდან განხილვა, მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას დაფიქრდნენ კრიტიკულად და მიუდგნენ პრობლემის გადაჭრას შემოქმედებითად.

მდგრადობის აუდიტის შესრულების ინდიკატორები

- საბაზისო და მისაღწევი მდგომარეობის განსაზღვრა (თვისებრივი, რაოდენობრივი მონაცემების საფუძველზე).
- მოსწავლეების წამყვანი როლი მდგრადობის აუდიტის ჩატარების პროცესში.
- დავალებების განაწილება ასაკობრივ ჯგუფებს, დაინტერესებულ მხარეებს და სასწავლო პროგრამებს შორის.
- მთელი სკოლის ჩართვა;
- საჭირო დოკუმენტების მომზადება;
- შეფასების ანგარიშის მომზადება, მოიცავს არა მხოლოდ მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხების ცოდნის გაზომვას, არამედ, ასევე ქცევების, მოლოდინების, დამოკიდებულებების შეფასებასაც;
- თემის შერჩევა

თემის შერჩევისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები

- შეისწავლეთ თქვენი რეგიონის პროფილი მდგრადი განვითარების ჭრილში
- განსაკუთრებით ყურადღება მიაქციეთ თქვენს სკოლასა და მის ახლომდებარე ტერიტორიაზე არსებულ პრობლემატიკას
- დასაწყისისთვის სასურველია, აირჩიოთ მხოლოდ ერთი თემა

დოკუმენტების ნიმუშები მდგრადობის აუდიტის ჩასატარებლად

აუდიტის ფორმა - ბიომრავალფეროვნება

4-6 წელი

ინსტრუქცია

ამ კითხვარის შევსებით, თქვენ დაეხმარებით ეკოკომიტეტს უკეთ გაიგოს, თუ როგორ მუშაობს თქვენი სკოლა ბიომრავალფეროვნების მიმართულებით.

1. **რომელ ცხოველებს ხედავთ ხოლმე სკოლაში ან სკოლის ტერიტორიაზე?**



2. ამ საქმიანობიდან რომელიმე თუ გაგიკეთებიათ? იხილეთ ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი და მწვანე ფერით შემოხაზეთ თქვენს მიერ განხორციელებული აქტივობები.

მცენარის დათესვა



ხოჭოების საცხოვრებლის გაკეთება



ჩიტებისათვის საკვების მომზადება



უხერხემლო ცხოველებისათვის მორების მოგროვება და დალაგება

ბაღის გაშენება

კომპოსტის გაკეთება

3. რამდენი მცენარეა შენს სკოლაში?

4. რატომ ფიქრობ რომ ბუნება მნიშვნელოვანია? განიხილე ეს მასწავლებლებთან და მეგობრებთან ერთად.

აუდიტის ფორმა - ბიომრავალფეროვნება

7-12 წელი

ინსტრუქცია

აუდიტი დაეხმარება თქვენს სკოლას განსაზღვროს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებისთვის. ამავე დროს აუდიტი დაგანახებთ, სკოლის მიერ ბიომრავალფეროვნების გასაუმჯობესებლად უკვე განხორციელებულ სასარგებლო საქმეებს. ეკოსკოლების პროექტი, მთელი სკოლისთვისაა, თქვენც შეგიძლიათ დაეხმაროთ ეკოკომიტეტს აუდიტის საკონტროლო კითხვარის შევსებაში. გულწრფელად უპასუხეთ შეკითხვებს და თუ დაგჭირდებათ დახმარებაც ითხოვეთ. შეგიძლიათ, მეგობრებთან ერთად ჯგუფურად იმუშაოთ. თითოეულ კითხვას სამი სავარაუდო პასუხი აქვს, შეგიძლიათ თქვენი კომენტარიც დაამატოთ:

ვეთანხმები
დიახ ეს ხშირად ხდება
დიახ, ხშირად

ერთგვარად ვეთანხმები
დიახ, ეს ხანდახან ხდება
დიახ, მცირე რაოდენობით

საერთოდ არ ვეთანხმები
არა ეს არასოდეს ხდება
არა, საერთოდ არა

კითხვები		კომენტარები
1. იციან თუ არა მოსწავლეებმა რას ნიშნავს ბიომრავალფეროვნება? მასწავლებლებმა?		
2. იციან თუ არა მოსწავლეებმა რაოდენ მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნება და რას აკეთებს ის ჩვენი პლანეტისათვის?		
3. იციან თუ არა უფროსებმა: (სკოლის ექიმმა, აღმზრდელმა, მასწავლებლებმა) რამდენად მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნება და რას აკეთებს ის ჩვენი პლანეტისათვის?		
4. იცის თუ არა ყველა მოსწავლემ რა არის პესტიციდი?		

კითხვები				კომენტარები
5. ხშირად იყენებენ თუ არა პესტიციდებს სკოლის გამწვანების შესანარჩუნებლად? (ბაღი გაზონი, ხეები, მდელო)	☺	😐	☹	
6. სკოლის შიგნით ბევრი მცენარეა?	☺	😐	☹	
7. უვლის თუ არა ვინმე მცენარეებს როგორც სკოლის შიგნით, ასევე სკოლის ტერიტორიაზე?	☺	😐	☹	
8. სკოლის გარშემო ბევრი მწერია?	☺	😐	☹	
9. იცნობენ თუ არა მოსწავლეები, სკოლის ტერიტორიაზე მობინადრე სხვადასხვა მწერის სახეობებს? ესმით თუ არა, რატომ არიან მწერები მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნებისათვის?	☺	😐	☹	
10. აქვს სკოლას ბაღი?	☺	😐	☹	
11. თუ აქვს, სარგებლობს თუ არა მთელი სკოლა ამ ბაღით?	☺	😐	☹	
12. ხდება თუა რა მოსწავლეთა წახალისება, ბაღის მოვლისათვის?	☺	😐	☹	
13. ხშირად ტარდება გაკვეთილები ღია ცის ქვეშ?	☺	😐	☹	
14. ესმით თუ არა მოსწავლეებს რა არის მცენარის სიცოცხლის ციკლი? ცხოველის სასიცოცხლო ციკლი?	☺	😐	☹	

გამოკვლევა

რომელ მცენარეთა და ცხოველთა სახეობა გვხვდება სკოლის ტერიტორიაზე?

რა სახის ჰაბიტატები შექმნა სკოლამ და სკოლის მოსწავლეებმა ბიომრავალფეროვნების წახალისებისათვის? (ხის მორების გროვები, ტბორი, ობობების სასტუმროები)

აუდიტის ფორმა - ბიომრავალფეროვნება

უფროსები

ინსტრუქცია

აუდიტის საკონტროლო კითხვარი გთავაზობთ თვისობრივ და რაოდენობრივ კითხვებს, და საშუალებას გაძლევთ გადაამოწმოთ, თუ როგორი პრაქტიკა და მიდგომები აქვს თქვენს სკოლას ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით. ყველა შეკითხვაზე პასუხად უნდა გავცეთ ''დიახ'' ან ''არა''. მიუხედავად ამ სიმარტივისა, ხანდახან ამ ტიპის მიდგომა დეტალური ინფორმაციის მოპოვებაში გვეხმარება. შემოთავაზებული კითხვები მხოლოდ სასტარტო წერტილია, რომელიც თქვენი კვლევის შესაბამისი გზების განსაზღვრაში და კონკრეტული აქტივობების ჩამოყალიბებაში დაგეხმარებათ, იმ აქტივობებისა, რომლებიც აუდიტის განხორციელების პროცესში უნდა დაასრულოთ. ამ თვალსაზრისით საკონტროლო კითხვარი, მხოლოდ შაბლონია, ასე რომ, თქვენ შინაარსისა და ფორმატის ადაპტირება შეგიძლიათ (გამარტივება, ახალი კითხვების დამატება და სხვა) რათა ის თქვენი სკოლის შინაარსსა და საჭიროებებს მოარგოთ. მას შემდეგ რაც აუდიტის აქტივობებს შეარჩევთ, უნდა განსაზღვროთ მონიტორინგის ინდიკატორები, რომელთა მიხედვით შესაძლებელი იქნება პროგრესზე დაკვირვება.

ცოდნა და ორგანიზება				
კითხვები	**დიახ**	**არა**	**კომენტარები**	**ინდიკატორები**
1. არის თუ არა ბიომრავალფეროვნების თემები გათვალისწინებული სკოლის ოფიციალურ დოკუმენტებში (შინაგანაწესი, სკოლის წესდება, სკოლის პროექტი)				
2. გყავთ თუ არა სკოლაში ბიომრავალფეროვნების გაუმჯობესებასა და დაგეგმვაზე პასუხისმგებელი პირი?				
3. რამდენად მაღალია ამ პიროვნების ცნობიერება, გავლილი აქვს თუ არა ტრენინგი მწვანე სივრცეების მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით?				
4. ხდება თუ არა სკოლაში ბიომრავალფეროვნების რეგულარული მონიტორინგი (დათვლა, იდენტიფიცირება, კარტოგრაფირება, ბუდეების მონიტორინგი, სანაშენე ყუთები)?				
5. იცით, თუ არა ცხოველთა და მცენარეთა რა სახეობები გვხვდება ამჟამად სკოლის ტერიტორიაზე?				
6. იცით, თუ არა, რომელიმე მათგანი თუ არის დაცული სახეობა?				
7. თუ იცით, რამდენად არიან ტერიტორიაზე ინვაზიური ან ალერგენული სახეობები?				

8. თუ ასეა, ხომ არ იმყოფებიან ეს სახეობები სკოლის შენობაში?				
9. იცით რომელი მცენარეები უწყობს ხელს ცხოველების მეტ ბიომრავალფეროვნებას?				
10. რა იცით ამ მცენარეების შესახებ? (როლი, წარმომავლობა, მოვლა)				
11. არის თუ არა სკოლის მხრიდან, ბიომრავალფეროვნების მოზიდვის მცდელობა (გუბურები, კომპოსტის ორმოები, ბუნების კუთხე, ცხოველების თავშესაფრები (ჩიტის ბუდეები, ხოჭოების სახლები, მორები უხერხემლოებისთვის და სხვა)				
12. თუ იცით, რამდენად ეფექტურია ეს ყველაფერი სკოლის შენობაში ბიომრავალფეროვნების მოზიდვისათვის? თუ გადაგიმოწმებიათ მათი ეფექტურობა?				

კომუნიკაცია და პროპაგანდა

კითხვები	დიახ	არა	კომენტარები	ინდიკატორები
13. ცნობილია თუ არა სასკოლო საზოგადოებისათვის, რას ნიშნავს ტერმინი ''ბიომრავალფეროვნება''? (მოსწავლეები, მასწავლებლები, ტექნიკური პერსონალი)				
14. უფიქრია თუ არა სკოლას ბიომრავალფეროვნების პრობლემაზე?				

15. ჩატარებულა თუ არა სკოლაში რაიმე საგანმანათლებლო აქტივობა, ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით? (საკლასო აქტივობები, ვორქშოფი, თემატური კვირა, ვიზიტები)				
16. ტარდება თუ არა ამ აქტივობებიდან რომელიმე მათგანი რეგულარულად?				
17. არიან თუ არა მასწავლებლები მოტივირებული, ისაუბრონ გაკვეთილებზე ბიომრავალფეროვნების შესახებ?				
18. შეუძლიათ თუ არა მასწავლებლებს ღია ცის ქვეშ გაკვეთილის ჩატარება? არის თუ არა მათთვის გამოყოფილი ტერიტორია?				
19. რამდენად აქტიურად არიან ჩართულები მოსწავლეები ამ საქმიანობაში?				
20. თუ უთმობთ დროს მოსწავლეებთან ერთად ბიომრავალფეროვნებაზე დაკვირვებას?				
მწვანე სივრცეები				
კითხვები	**დიახ**	**არა**	**კომენტარები**	**ინდიკატორები**
21. მდებარეობს თუ არა სკოლა მწვანე სივრცეებთან ან ბიომრავალფეროვნებით მდიდარ ადგილებთან ახლოს?				

22. იცით მწვანე სივრცის რა პროპორციაა თქვენს სკოლაში, ქალაქსა თუ სოფელში?				
23. არის თუ არა ეს ადგილები ყველასათვის (მოსწავლეები, მასწავლებლები, სასკოლო პერსონალი და სხვა ადვილად ხელმისაწვდომი?				
24. არის თუ არა ეს მწვანე სივრცეები მოვლილი და დასუფთავებული?				
25. გამოყოფილია თუ არა ამ მწვანე სივრცეებიდან გარკვეული ნაწილი ველური მცენარეებისათვის?				
26. იცით, ვინ უვლის თქვენს სკოლაში მწვანე სივრცეებს?				
27. იცით, რა ტიპის მოვლა სჭირდება თქვენს სკოლაში არსებულ მწვანე სივრცეებს?				
28. არის თუ არა უზრუნველყოფილი ამ სივრცეების მდგრადი მართვის გეგმა?				
29. მონაწილეობენ მოსწავლეები ამ სივრცეების მართვაში?				
30. არის თუ არა სკოლაში მწვანე მცენარეები? იცით რა როლი აქვთ მათ?				

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნება				
კითხვები	დიახ	არა	კომენტარები	ინდიკატორები
31. აქვს თუ არა სკოლას წვდომა, ბიომრავალფეროვნების სპეციალურ საკონსერვაციო სივრცეებზე (ბოტანიკური ბაღები, დაცული ტერიტორიები, ნაკრძალები და სხვა)?				
32.აქვს თუ არა სკოლას მარტივი წვდომა ისეთ მწვანე სივრცეებზე, სადაც მნიშვნელოვანი ბიომრავალფეროვნების აღმოჩენაა შესაძლებელი? (ტბორები, ტყეები, მდელოები)				
33. იცით ცხოველთა ან მცენარეთა რომელი სახეობებია თქვენს ტერიტორიაზე?				
34. იცნობენ მოსწავლეები ამ სახეობებს?				
35. იცით, თუ არა გადაშენების საფრთხის ქვეშ მყოფი წითელი ნუსხის სახეობების შესახებ და მათგან რომელი სახეობები გხვდებათ თქვენს მხარეში?				
36. არის თუ არა სკოლა დაკავშირებული ბიომრავალფეროვნებაზე მომუშავე რომელიმე ეროვნულ ან ადგილობრივ ორგანიზაციასთან ან თანამშრომლობს მასთან?				
37. იცით თუ არა ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობის მიზნით თქვენს მხარეში გამოყენებული მიდგომების შესახებ ?				

მაგალითები				
კითხვები	**დიახ**	**არა**	**კომენტარები**	**ინდიკატორები**
8. იცით თუ არა ცხოველთა და მცენარეთა რა სახეობებია სკოლის შენობაში?		×	სახეობების რაოდენობის დათვლა და მონიტორინგი მოსწავლეებთან ერთად	ბიომრავალფეროვნების ინდექსი, მცენარეთა სახეობების რაოდენობა
15. ატარებს თუ არა სკოლა საგანმანათლებლო აქტივობებს ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით? (საკლასო აქტივობები, ვორქშოფები, ვიზიტები, თემატური კვირები და სხვა)	×		მწერებისათვის საცხოვრებლების აშენება; ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღის აღნიშვნა	ჩატარებული აქტივობების რაოდენობა

აუდიტის შედეგები

აუდიტის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვანია თქვენი კვლევებისა და შედეგების შესახებ შეჯამების დაწერა. ეს თქვენი სკოლის საწყისი მდგომარეობის უკეთ გაცნობიერებასა და მოქმედებისათვის პრიორიტეტული გზების განსაზღვრაში დაგეხმარებათ.

ძლიერი მხარეები

სუსტი მხარეები

პრიორიტეტული მიმართულებები მოქმედებისთვის

გამოკითხვა/გამოკვლევა ეკოსკოლის სამუშაო თემის შერჩევის მიზნით

თუ პრიორიტეტული თემის შესარჩევად სკოლამ ჩაატარე წინარე გამოკვლევა/გამოკითხვა, აღწერეთ ეს პროცესი შემდეგი მარტივი ფორმის საშუალებით.

თემა	აღნიშვნა	ვინ ჩაატარა გამოკითხვა/გამოკვლევა?
ბიომრავალფეროვნება		
კლიმატის ცვლილება		
დანაგვიანება და ნარჩენები		

თემა	აღნიშვნა	ვინ ჩაატარა გამოკითხვა/გამოკვლევა?
ენერგია		
წყალი		
სკოლის ტერიტორია		
ჯანმრთელობა და კეთილდღეობა		
სურსათი		
ტრანსპორტი		
ზღვა და სანაპირო		
თანასწორობა და თანაბრობა		
გლობალური მოქალაქეობა		

შენიშვნა: *დაუხთეთ წინახე გამოკითხვის დროს გამოყენებული ყველა ფორმა საბოლოო ანგარიშსა და მწვანე დროშის ჯილდოზე წარსადგენ დოკუმენტაციას.*

3

საფეხური 3. სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმა არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საფეხური მოსწავლეებში აქტიური მოქალაქეობის განვითარების მიმართულებით, ასევე, მათი უნარების გასაძლიერებლად საქმიანობის დაგეგმვისა და თვითმართვის მიმართულებით. სამოქმედო გეგმა შესაძლებელს ხდის თეორიულად განსაზღვრული აქტივობები გადატანილ იქნას პრაქტიკაში.

რა არის სამოქმედო გეგმა?

სამოქმედო გეგმა თქვენი ეკოსკოლის პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის იქმნება აუდიტის შედეგებზე დაფუძნებით, ითვალისწინებს აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებულ საკითხებს და წარმოდგენილ რეკომენდაციებს. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს ქმედებებს და საგანმანათლებლო აქტივობებს, რომლებიც პროექტის მსვლელობისას განხორციელდება.

სამოქმედო გეგმა უნდა იყოს რელევანტური და მიღწევადი

აუდიტი ავლენს მრავალ სხვადასხვა მიმართულებას, თუმცა მნიშვნელოვანია პრიორიტეტებისა და მკაფიო, პრაქტიკული და მიღწევადი მიზნების განსაზღვრა. თქვენი სამოქმედო გეგმის ხარისხი არ განისაზღვრება დაგეგმილი ქმედებების რაოდენობით. აქ მნიშვნელოვანია თავად ქმედებების ბუნება, რომელიც რელევანტური და კარგად გააზრებული უნდა იყოს, ასევე, უნდა ჩანდეს გუნდის მიზანდასახულობა და ერთგულება მიზნების მიმართ, რადგან ეს განაპირობებს თქვენი ეკოსკოლის წარმატებას. მაშასადამე, მიზანი არის ხარისხი და არა რაოდენობა. ზოგი ქმედება მოითხოვს ხელმძღვანელობის მნიშვნელოვან ჩართულობას, ან თუნდაც ტექნიკური პერსონალის მონაწილეობას, როდესაც სხვა აქტივობებისთვის საჭიროა წინასწარი ინვესტიცია ან მძიმე შრომა. ამდენად, მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმის მომზადებისას თქვენი სკოლის ფინანსური, ადამიანური და ტექნიკური რესურსების გათვალისწინება.

მეტისმეტად გაურკვეველი ან ბუნდოვანი მიზნები სავარაუდოდ ვერ მიიღწევა, რამაც შესაძლოა, დემოტივაცია ან იმედგაცრუება გამოიწვიოს. ამასთან, მნიშვნელოვანია დროის ფაქტორის სწორი გათვალისწინება, რაც დაგეგმვის ფუნდამენტური ფაქტორია. სასკოლო წლის ორგანიზება წინასწარ განისაზღვრება და მნიშვნელოვანია ინტენსიური პერიოდების გათვალისწინება (გამოცდების პერიოდი, ღია დღეები და სხვა), რომელთა განმავლობაში სასკოლო საზოგადოება ნაკლებად ხელმისაწვდომია. საერთოდ, ყველა აქტივობა კოორდინირებულად უნდა წარიმართოს და შესაფერის დროს დაიგეგმოს. პროგრამის კარგი მართვა, ასევე, გულისხმობს საჭირო დროის გათვალისწინებას თითოეული აქტივობის მომზადებისთვის, მონიტორინგისა და შეფასებისთვის, მათთვის ფიქსირებული ვადების მითითებას.

აქტივობების მრავალფეროვნება სამოქმედო გეგმაში

სამოქმედო გეგმა უნდა მოიცავდეს ორი ტიპის მოქმედებას:

1) აქტივობებს, რომლებიც მიზნად ისახავს სკოლის მართვის და პრაქტიკის გაუმჯობესებას მდგრადობის მიმართულებით

2) მდგრადი განვითარებისთვის განათლების ფარგლებში განხორციელებულ ქმედებებს (სასწავლო აქტივობებს, საინფორმაციო კამპანიებს, კონფერენციებს, საზოგადოებრივი აზრის კვლევებს და ა.შ). მეორე მიმართულება პროგრამის უმნიშვნელოვანესი ნაწილია და ხორციელდება სხვადასხვა ინიციატივის სახით, რომელიც აწვდის ადამიანებს ინფორმაციას, ანათლებს მათ და, ზოგადად, ამაღლებს ცნობიერებას. მაგალითად, დახარისხებისა და გადამუშავების სისტემის ამოქმედებას შესაძლოა ხელი შეუწყოს ნარჩენების მართვის შესახებ ცნობიერების ამაღლების კამპანიამ. სკოლა უნდა აკავშირდებდეს დაგეგმილ პრაქტიკულ ქმედებებს საგანმანთლებლო ინიციატივებთან. იდეალურ შემთხვევაში, ის, რაც ისწავლება კლასში, კარგი იქნება, თუ პრაქტიკულად განხორციელდება სკოლის ფარგლებში.

აქტივობების პრაქტიკულად განხორციელებას შესაძლოა დიდი დრო დასჭირდეს, და ცვლილებების ნელმა ტემპმა შესაძლოა, გამოიწვიოს ეკოკომიტეტის წევრების და ზოგადად სასკოლო საზოგადოების დემოტივაცია. მაშასადამე, როდესაც ამზადებთ სამოქმედო გეგმას, დაიცავით ბალანსი „საკომუნიკაციო“ ქმედებებს (მაგ., ნულოვანი ნარჩენების დღის ორგანიზება, ინფორმაციის გავრცელების კამპანიები, გამოფენებზე დასწრება და სხვა), რომლებსაც ექნებათ საშუალო ზეგავლენა, მაგრამ მაღალი ხილვადობა და „ძირითად“ ქმედებებს (მაგ., დაბალი ნაკადის ონკანების დაყენება, გათბობის შემცირება და სხვა) შორის, ნაკლები ვიზუალური ეფექტით, მაგრამ მაღალი შედეგებით.

თქვენი ეკოსკოლების პროგრამა ორიენტირებული იქნება შერჩეულ თემაზე, თუმცა რეკომენდებულია, რომ თქვენს სამოქმედო გეგმაში ასევე აისახოს ის მიმდინარე აქტივობები, რომლებიც დაიწყო ეკოსკოლების წინა პროექტებში (წინა თემებზე მუშაობისას), და მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში. ეს მოგცემთ საშუალებას ისე დაგეგმოთ თქვენი საქმიანობა, რომ არ შეწყდეს სკოლისა და თემის მდგრადობის გაუმჯობესების პროცესი.

სამოქმედო გეგმის ელემენტები

რომელი მოდელიც არ უნდა აირჩიოთ, ყოველი დაგეგმილი ქმედებისთვის უნდა გაიწეროს:

- პირველადი მიგნებები: შეაჯამეთ არსებული ვითარება და გამოკვეთეთ გამოვლენილი პრობლემები;
- მიზნები: განსაზღვრეთ მიზნები, რომელთა მიღწევა აუცილებელია ვითარების გაუმჯობესებისთვის;
- დაგეგმილი საქმიანობა: აღწერეთ დაგეგმილი ქმედებები და საჭიროების შემთხვევაში დააკონკრეტეთ ჩართული რესურსები (მასალები, ხალხი, ფინანსები და სხვა);
- ინდიკატორები: განსაზღვრეთ ინდიკატორები, რომლებიც მონიტორინგის საშუალებას მოგცემენ;
- საბოლოო ვადები: განსაზღვრეთ დასრულების თარიღები;
- პასუხისმგებელი პირი ან ჯგუფი: ადამიანები რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ქმედების განხორციელებაზე;
- შენიშვნები: მიუთითეთ ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა ქმედების განხორციელებისთვის.

ერთობლივი და თანამშრომლობითი სამოქმედო გეგმა

სამოქმედო გეგმის მომზადება ითვალისწინებს ეკოკომიტეტის წევრების მონაწილეობას. დიალოგის დაწყება, მოსმენა და მოსაზრებების შეჯერება მოგცემთ საშუალებას შექმნათ გონივრული სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაში იქნება სკოლის ხედვასთან და ენთუზიაზმით განხორციელდება. ეცადეთ მოსწავლეებს დააკისროთ მთავარი როლი, რადგან სწორედ ისინი არიან ქმედებების ძირითადი სამიზნეები. მათი მონაწილეობა აუცილებელია მათივე მოტივირებისათვის, იმისათვის რომ თავი ღირებულად იგრძნონ, ასევე ქმედებების ლეგიტიმაციისა და განხორციელებისთვის. თავად სასკოლო საზოგადოებაში არის შესაძლებელი მოძიება მრავალი უნარისა, რომლებიც სამოქმედო გეგმის შესრულებას დასჭირდება. თუმცა ქმედებების სათანადოდ განხორციელებისთვის ხშირად პარტნიორული მუშაობაა სასარგებლო. იყავით გახსნილნი გარე პარტნიორების მიმართ (მაგ., მშობლები), რომლებსაც აქვთ კონკრეტული უნარები, შეუძლიათ მხარდაჭერა სხვადასხვა მიმართულებით და ამით პროგრამის შინაარსის გამდიდრება. სამოქმედო გეგმა ეხება ყველას, ამდენად სკოლაში მოქმედი ყველა დაინტერესებული მხარე, შესაძლებელია, იყოს ჩართული მის განხორციელებაში. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების გაერთიანებას ეკოსკოლების პროგრამის ირგვლივ, ზრდის პროექტის ეფექტიანობას და ინარჩუნებს იმპულსს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქმედებებზე პასუხისმგებლობა აიღონ მოსწავლეებმა, ეს მათ შეუქმნის პროგრამის მიმართ მიკუთვნებულობის განცდას.

სტრუქტურირებული და კოორდინირებული სამოქმედო გეგმა

პრაქტიკულ დონეზე თქვენ მოგეთხოვებათ საკუთარი სამოქმედო გეგმის მომზადება. ეკოსკოლების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა მხოლოდ შაბლონია. ამდენად, თქვენ შეგიძლიათ მისი ადაპტირება თქვენი სკოლის საჭიროებებსა და კონტექსტთან. ასევე გირჩევთ თქვენი სამოქმედო გეგმის ერთი ნაწილი დაუთმოთ საკითხს: „პროგრამის ერთიანი მართვა“. აქ უნდა შეიტანოთ ქმედებები, რომლებიც დაკავშირებულია შიდა ორგანიზებასთან და ეხება ეკოსკოლების პროგრამის მართვას. მაგალითად: ეკოკომიტეტის შეხვედრების დაგეგმვას, მონიტორინგის ორგანიზებას, ერთიან შეფასებას, ეკოკოდექსის შექმნას და სხვა.

სამოქმედო გეგმა - სამუშაო დოკუმენტი

არ დაგავიწყდეთ, რომ სამოქმედო გეგმა განვითარებადი დოკუმენტია, რადგან სასწავლო წლის დასაწყისში ყველაფრის განსაზღვრა შეუძლებელია. განახორციელეთ სამოქმედო გეგმა ეტაპობრივად, დაგეგმილი ქმედებების მიხედვით და ახლად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით. ასევე, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სამოქმედო გეგმა სასარგებლო საკომუნიკაციო მექანიზმიცაა. ის გამოგადგებათ თქვენი ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გავრცელებასას, ან სასკოლო საზოგადოებისთვის თქვენი გადაწყვეტილებების განმარტებისთვის.

გახსოვდეთ, სამოქმედო გეგმის ხარისხი არ განისაზღვრება დაგეგმილი ქმედებების რაოდენობით. თქვენი ეკოსკოლის პროექტს წარმატებას მნიშვნელოვანი და საზრიანი ქმედებები მოუტანს. მაშასადამე, მიზანი არის ხარისხი და არა - რაოდენობა.

სამოქმედო გეგმის შესრულების ინდიკატორები

- სამოქმედო გეგმა არის სამუშაო დოკუმენტი
- დავალებები განაწილებულია მოსწავლეებზე და განსაზღვრულია ვადები
- სამოქმედო გეგმა არის საჯარო
- სამოქმედო გეგმა მოიცავს როგორც მოკლე, ასევე გრძელვადიან შედეგებს
- სამოქმედო გეგმა ასახავს ერთიან მიდგომას სკოლის განვითარებისადმი

რჩევები სამოქმედო გეგმის შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად

სამუშაო გეგმის შედგენისას გაითვალისწინეთ:

- არის თუ არა დასახული მიზნები გაზომვადი და მისაღწევი;
- არის თუ არა დროში გაწერილი და პასუხისმგებელ პირებთან დაკავშირებული;
- არის თუ არა აქტივობები მიზნების შესაბამისი;
- რამდენად კონკრეტულია დაგეგმილი აქტივობები

ეკოსკოლის ანგარიშის მომზადებისას აღწერეთ:
ვინ იყო ჩართული სამოქმედო გეგმის მომზადებაში და როგორ უზიარებთ სამოქმედო გეგმას სკოლას?

სამოქმედო გეგმის ნიმუშები

ეკოსკოლების პროგრამის მიერ შემოთავაზებული სამოქმედო გეგმა მხოლოდ შაბლონია, ამიტომ თამამად შექმენით ისეთი, როგორიც ყველაზე მეტად მოერგება თქვენი სკოლის საქმიანობას.

სამოქმედო გეგმის ნიმუში

თემა	პირველადი მიგნებები	მიზანი/ ამოცანა	დაგეგმილი ქმედებები	სამიზნე	ღირებულება/ რესურსები	ვადები/ საბოლოო ვადა	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი ან ჯგუფი	რეალურად მიღწეული შედგები	შენიშვნები/ კომენტარები
ხა თემის იჩგვღივ ტაჰდება აქტივობები	*ხა ახის „პრობდემა“?*	*ხის მიღწევა გვსუხს? მოკდე და გრძეღ ვადაში*	*ყოვეღთვის დასვით კითხვა: „ახის თუ ახა ეს SMART ქმედება? ხოგოჰ უკავშიჰდება ეს სასწავღო პროგრამას?“ ხოგოჰ განვახორციეღებთ მას?*	*ხაოდენობრივი მაჩვენებღები. ასევე შეგიძღიათ მოიძიოთ ფოქსი მასადა ან მდგრადობის აუდიტის შედეგები*	*ახ ახის დაგეგმიღი ქმედებების ღირებუღება?*	*ხამდენ ხანს და ხოდის? (ხოდის გვსუხს ამის მიღწევა?)*		*ვინ გააკეთებს ამას? მოსწავდეების ჩართუღობა უმნიშვნეღო-ვანესია*	*დადასტურების (ვერიფიკაციის) საშუაღებები*	*2-4 ქმედება ერთი თემის იჩგვღივ*

სამოქმედო გეგმის მაგალითი

ეკოსკოლების პროგრამის მიერ შეთავაზებული სამოქმედო გეგმის მაგალითი მხოლოდ ერთ-ერთი თემისთვის შემუშავებული ნიმუშია. თამამად შეცვალე ან შექმენი ისეთი, როგორიც ყველაზე მეტად მიესადაგება თქვენს სკოლასა და შერჩეულ თემას.

თემა	პირველადი მიგნებები	მიზანი/ ამოცანა	დაგეგმილი ქმედებები	სამიზნე	ღირებულება/ რესურსები	ვადები/ საბოლოო ვადა	ინდიკატორები	პასუხისმგებელი პირი ან ჯგუფი	რეალურად მიღწეული შედგები	შენიშვნები/ კომენტარები
ნარჩენები და დანაგვიანება	სკოლა სწორად არ ახდენს ნარჩენების სეპარირებას	1. გაუმჯობესდეს ნარჩენების დახარისხება /სეპარაცია სკოლაში	1.1 სკოლის აღჭურვა ნარჩენების სეპარირების კონტეინერებით			ნოემბერი	დახარისხებული ნარჩენების რაოდენობა კგ (მაგალითად: ქაღალდი, ორგანული ნარჩენები, და სხვა)	ყველა კლასი		გადამუშავების კონტეინერები ს შეძენა
			1.2 სელექციური დახარისხების კონტეინერების მონტაჟი სტრატეგიულ ადგილებში (ჰოლი, შესასვლელი და სხვა)			ნოემბერი	დახარისხებული ნარჩენების რაოდენობა კგ (მაგალითად: ქაღალდი, ორგანული ნარჩენები, და სხვა) ნარჩენების სეპარირების კონტეინერის ანალიზი	ეკოკომიტეტი და ტექნიკური პერსონალი ტექნიკური პერსონალი და ნა კლასი		
	სასკოლო საზოგადოებას არ ესმის სხვადასხვა ნარჩენების და გადამუშავების პიქტოგრამები	2. ნარჩენების სეპარაციასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული ცოდნის გაუმჯობესება	2.1 ნარჩენების სეპარაციასა და გადამუშავებასთან დაკავშირებული აქტივობების ორგანიზება ყველა კლასისთვის			იანვარი	კვლევამდე/ კვლევის შემდეგ	ეკოკომიტეტი		
			2.2 პოსტერების მომზადება ცნობიერების ამაღლებისთვის			იანვარი				

	PET ბოთლების მოხმარება ძალიან მაღალია	3. შეამცირეთ PET ბოთლების ხაოდენობა სკოლაში	3.1 წეხილი მშობლებს, რომ ხელი შეუწყონ ხელახლა შევსებადი ბოთლების გამოყენებას			ოქტომბერი	შეგროვებული PET პლასტმასის ხაოდენობა	სკოლის მენეჯმენტი და ეკოკომიტეტის წევრები		
			3.2 ყველა საკლასო ოთახის აღჭურვა წყლის გრაფინითა და მრავალჯერადი ჭიქებით			ოქტომბერი				
		4. პლასტმასით დაბინძურების შესახებ ცნობიერების ამაღლება	4.1 ფილმის- პლასტმასის ოკეანე - ჩვენება			თებერვალი	დასრულებული /დაუსრულებელი, ფოტოები	სკოლის მენეჯმენტი		
			4.2 ქაღალდის და პლასტმასის დაშლის შედეგების ექსპერიმენტი			მარტი	ფოტოები	5ა და 6ა კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები მეცნიერება		
			4.3 გაანგარიშება თითო ადამიანზე და წელიწადში გამოყენებული პლასტმასის ოდენობაზე (ორი ბოთლი 1.5 ლ კაცზე და დღეში საშუალოდ)			მარტი	დასრულებული /დაუსრულებელი,	7ა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები მათემატიკა		
			4.4 პლაჟის გაწმენდის დღე ქვიშის ანალიზი და დაკვირვება ბინოკულარული მიკროსკოპით				შეგროვებული ნარჩენების ხაოდენობა, ფოტოები	5ბ და 5გ კლასების მოსწავლეები და მასწავლებლები მეცნიერება		

საფეხური 4. მონიტორინგი და შეფასება

მონიტორინგისა და შეფასების ეტაპი აუცილებელია ნებისმიერი პროექტის უწყვეტი გაუმჯობესებისათვის. ის საშუალებას გაძლევთ შეაფასოთ თქვენი წინსვლა და განსაზღვროთ, თუ რამდენად შესაბამისობაშია შედეგები სამოქმედო გეგმაში მითითებულ მიზნებთან. მიზნების მიღწევის შეფასებისას მოსწავლეები სწავლობენ ერთობლივ მიზანმიმართულ მუშაობას.

რა არის მონიტორინგი და შეფასება?

მონიტორინგი და შეფასება კვლევასთან დაკავშირებული აქტივობებია იმის გასარკვევად, მიღწეულია თუ არა სამოქმედო გეგმით დასახული მიზნები, რათა გაიზომოს პროგრესი. გამოყენებული მონიტორინგის მეთოდები დამოკიდებული იქნება სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულ მიზნებსა და გაზომვის კრიტერიუმებზე, იმ თემებზე, რომელთა განხილვაც იგეგმება, მოსწავლეებისა და სხვა მონაწილე პირების ასაკსა და შესაძლებლობებზე.

შეფასება გამომდინარეობს მონიტორინგიდან. შეფასების შემდეგ საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია ცვლილებების შეტანა სამოქმედო გეგმაში.

ინდიკატორების ტიპები

მონიტორინგი ხორციელდება იმ ინდიკატორების მეშვეობით, რომლებიც შემუშავებულია აუდიტის ეტაპზე. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი შაბლონის გამოყენებისას, შეძლოთ მათი (ინდიკატორების) ადაპტირება, ან წარმოადგინოთ ახალი, თქვენეული იდეები თქვენი სკოლის საჭიროებების და კონტექსტის შესაბამისად. ინდიკატორები უნდა იყოს მარტივი, რათა მათი შეფასება რეგულარულად და უწყვეტად იყოს შესაძლებელი.

მონიტორინგით შესაგროვებელი მონაცემების სპექტრი ფართოა. ამიტომ მნიშვნელოვანია განისაზღვროს ისეთი ინდიკატორები, რომლებიც ზუსტად შეესაბამებიან, ასახავენ მისაღწევ მიზნებს და სამუშაოს მიმდინარეობას. გამოკვეთეთ მხოლოდ მნიშვნელოვანი ინდიკატორები. მათი მცირე რაოდენობა ამცირებს ინფორმაციის მოცულობას, ამარტივებს მის ანალიზს და ქმნის მონიტორინგის და შეფასების ეფექტურ სისტემას. ასევე, რეკომენდებულია სხვადასხვა ტიპის ინდიკატორების გამოყენება, რათა აისახოს თქვენს სკოლაში ეკოსკოლების პროგრამის განხორციელების სხვადასხვა ასპექტები. ამ თვალსაზრისით, შეგვიძლია, განვასხვავოთ ორი ტიპის ინდიკატორი: რაოდენობრივი-, რომელიც ეხება ერთეულებს, პროცენტებს ან კოეფიციენტებს. ისინი ეყრდნობიან რაოდენობების ცვლილებას პროგრესზე დაკვირვებისას და შესაძლებელია მათი სტატისტიკური ანალიზი.

მდგრად განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებში, რაოდენობრივი ინდიკატორების მაგალითები შესაძლოა, იყოს ნარჩენების მოცულობები, წყლის შემადგენლობის კვლევის პროცენტული შედეგები, ადგილობრივი წარმოების პროდუქტების წილის მაჩვენებელი, მცენარეთა ახალი ჯიშების რაოდენობა, დამონტაჟებული ურნების რაოდენობა და სხვა. მონიტორინგი მოიცავს პროგრამის საგანმანათლებლო ასპექტსაც, რომლითაც, ასევე, შესაძლებელია რაოდენობრივი მონაცემების შეგროვება. მაგალითად, მოსწავლეების წილი, რომლებიც ამოიცნობენ ნარჩენების პიქტოგრამებს, იმ მოსწავლეების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ჩართულნი არიან ცნობიერების ამაღლების აქტივობებში, ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან ერთად მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობა, ინტერდისციპლინარული პროექტების რაოდენობა და სხვა).

თვისებრივი ინდიკატორები გამოიყენება გასაზომად ისეთი მიღწევებისა, რომლებსაც არა აქვს რიცხვითი მნიშვნელობა. ჩვეულებრივ, მათი მეშვეობით ინფორმაცია მოცემულია ტექსტური ან ვიზუალური ფორმით. ეს შესაძლოა მოიცავდეს დებულებას ან ფაქტს (მიღწეული ან მიუღწეველი, დიახ ან არა); ასევე, ფოტოებს, ვიდეოებს, გამოხმაურებებს; მოსაზრებებს (ციტატებს), რომლებიც გამოხატავს დამოკიდებულებების ცვლილებას, რწმენას, მოტივაციებს და ქცევებს სასკოლო საზოგადოებაში.

კოლექტიური ძალისხმევა

მონიტორინგის პასუხისმგებლობა ისე უნდა განაწილდეს, რომ არავისთვის იყოს დამღლელი სამუშაო, რომელიც მოტივაციას დაუკარგავს ადამიანს. მოსწავლეები, რაც შეიძლება, აქტიურ როლს უნდა ასრულებდნენ ღონისძიებების მონიტორინგის და შეფასების პროცესში. პროგრესზე დაკვირვება შესაძლოა, დაკავშირებული იყოს სასწავლო პროგრამასთან, ორგანიზებული იყოს კლასის დონეზე, ან ხორციელდებოდეს ტექნიკური პერსონალის დახმარებით. თავად აირჩიეთ თქვენი სკოლის კონტექსტისთვის ყველაზე შესაფერისი მეთოდი. ამასთან, გაითვალისწინეთ, რომ მონიტორინგის ღონისძიებები არ არის მიმართული კონკრეტული ადამიანებისკენ და არ ისახავს მიზნად ვინმეს დადანაშაულებას. და ბოლოს, აქტივობების ნაწილი მოითხოვს პარტნიორულ მუშაობას სკოლის გარეთ. მაგალითად, ზოგიერთი აქტივობისთვის სკოლას შესაძლოა არ ჰქონდეს მონიტორინგისა და შეფასებისთვის საჭირო ინფორმაცია. ამ შემთხვევაში დაუკავშირდით მოცემულ სფეროში კონკრეტული ექსპერტიზის მქონე პირებს, ან სთხოვეთ შესაბამის ორგანიზაციებს, მოგაწოდონ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია (ქვითრები, ენერგიის მოხმარების ანგარიშები და სხვა).

ამგვარად, მონიტორინგი და შეფასება პროექტის მართვის ორი განსხვავებული, თუმცა ურთიერთშემავსებელი ინსტრუმენტია. მონიტორინგი არის პროექტის პროგრესის შესახებ ინფორმაციის რუტინული შეგროვება და ანალიზი. ის გაძლევთ საშუალებას განსაზღვროთ რამდენად ასრულებთ თქვენს გეგმებს და გეხმარებათ დააკვირდეთ

თქვენს საქმიანობას. ის ეფუძნება წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებს და უზრუნველყოფს ინფორმაციას, რომელიც შესაძლოა, სასარგებლო იყოს თქვენი პროექტის საბოლოო შეფასებისთვის.

შეფასება მოიცავს ზოგადად პროექტის და მისი შედეგების განხორციელების შეფასებას. ის ხორციელდება პროექტის დასასრულს და გვეხმარება განვსაზღვროთ, რამდენად შესრულდა მიზნები და მიღწეულია სასურველი ცვლილებები, ასევე, შესაძლებელს ხდის პროექტის სკოლაზე გავლენის გაცნობიერებას.

სამოქმედო გეგმის შეფასება

მიზნების მიღწევების შესაფასებლად საჭიროა სამოქმედო გეგმის შეფასება. განხორციელდა თუ არა ყველა მოქმედება და ღონისძიება? მიღწეულია თუ არა ყველა მიზანი? არსებობს ისეთი კითხვებიც, რომლებსაც პასუხი უნდა გასცე პროექტის განხორციელების შემდეგ. იმისთვის რომ განვითარდე, უნდა შეაფასო. სხვადასხვა მონაცემი, რომლებიც მონიტორინგის ფარგლებში შეგროვდა (გაზომვები, დაკვირვებები, წინასწარი და შემდგომი კვლევები, ფოტოები და სხვა), შეგიქმნით წარმოდგენას მთლიანად პროექტზე და მის სწორად შეფასების შესაძლებლობას მოგცემთ.

საერთო შეფასება

გარდა სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასებისა, პროცესი ასევე მოიცავს საერთო შეფასებას. აღნიშნული ეხება ეკოსკოლების პროგრამის 7 საფეხურს და კითხვებს, რომლებიც აფასებს თქვენს სკოლაში პროგრამის განხორციელების ზოგად სურათს.
საერთო შეფასება ხორციელდება არა მხოლოდ მწვანე დროშის ჯილდოს მოსაპოვებლად, არამედ იმიტომ, რომ ის საშუალებას გაძლევთ გადადგათ ნაბიჯი უკან და ერთიანად დაინახოთ პროექტი ორგანიზაციისა და მენეჯმენტის პერსპექტივიდან. ეს ასევე დაგეხმარებათ, მოემზადოთ შემდეგი პროექტისთვის. ეკოკომიტეტის ბოლო სხდომაზე წარმოდგენილი დასრულებული, ზოგადი შეფასება დაგეხმარებათ შეცვალოთ კორექტირებისა და გაუმჯობესების სფეროები და განსაზღვროთ ქმედებები და აქტივობები, რომლებზეც ხელახლა უნდა იმუშაოთ, ასევე განსაზღვროთ თქვენი შემდეგი პროექტის სამოქმედო კურსი.

მონიტორინგისა და შეფასების შესრულების ინდიკატორები:

- მოსწავლეების მონაწილეობა მონიტორინგსა და შეფასებაში
- მიღწეული მიზნების და პოზიტიური პროგრესის წარმოდგენა
- მონიტორინგის და შეფასების დასკვნები საჯაროა და მას იცნობს სკოლის საზოგადოება და თემი.

რჩევები მონიტორინგისა და შეფასების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად

ეკოსკოლების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას აღწერეთ:

როგორ განახორციელეთ თქვენი პროგრესის მონიტორინგი და შეფასება. კითხვებზე პასუხისას დაეყრდენით თქვენს სამოქმედო გეგმის შესახებ. ინფორმაციის რუტინული შეგროვება და ანალიზი. ის გაძლევთ საშუალებას განსაზღვროთ რამდენად ასრულებთ თქვენს გეგმებს და გეხმარებათ დააკვირდეთ

როგორ ახორციელებდით ეკოსკოლების პროგრამის განხორციელების პროგრესს?	
რა მტკიცებულებები გაქვთ თითოეული მიზნის მიღწევის დასტურად? (მაგალითად: ანალიზი, ცხრილები, დიაგრამები)	
რა იყო ყველაზე დიდი წარმატება ეკოსკოლების პროგრამის	
რა იყო ყველაზე დიდი გამოწვევა ეკოსკოლების პროგრამის განხორციელებისას?	

მონიტორინგისა და შეფასებისას გასათვალისწინებელი რეკომენდაციები:

- მონიტორინგის მიზანია მხარდაჭერა პროექტის განხორციელებისათვის (და არა დადანაშაულება)
- შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია იყოს მოქმედებაში ცვლილებების შეტანა
- უნდა ვაწარმოოთ ჩანაწერები

შეფასებისას უნდა შევიმუშაოთ შეფასების ფორმა და გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- რამდენად დამყარდა კავშირი ეკოსკოლის პროექტსა და სასწავლო გეგმას შორის
- დაეხმარა თუ არა დაგეგმილი ქმედებები თავდაპირველად დასახული მიზნების შესრულებისას
- რამდენად დასრულდა ყველა მოქმედება
- რა გვლენა მოახდინა განხორციელებულმა მოქმედებებმა
- რა დადებითი შედეგი აქვს პროექტს
- რა უარყოფითი გავლენა აქვს პროექტს
- განხორციელებული მოქმედებებიდან რომელი გაგრძელდება შემდეგ წელს
- როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ ქმედებების უწყვეტობა

მონიტორინგის ფურცლის მაგალითი

ეკოსკოლების პროგრამის მიერ შეთავაზებული მონიტორინგის ფურცლის მაგალითი მხოლოდ ერთ-ერთი თემისთვის შემუშავებული ნიმუშია. თამამად შეცვალე ან შექმენი ისეთი, როგორიც ყველაზე მეტად მიესადაგება თქვენს სკოლასა და შერჩეულ თემას.

ამოცანები (რის მიღწევა გვსურს?)	დაგეგმილი ქმედებები (როგორ მივაღწევთ?)	საფეხურები (როგორ და როდის განვახორციელოთ?)	ინდიკატორი (თუ შესაძლებელია, მიუთითეთ კონკრეტული საზომი ერთეული და სიხშირე)	საწყისი შეფასება (იდეალურ შემთხვევაში აუდიტის მსვლელობისას)	შემდგომი შეფასებები	საბოლოო შეფასება	შედეგები
მაგალითი *1. ნარჩენების სორტირების გაუმჯობესება სკოლაში*	***1.1*** *სორტირების სისტემის შექმნა და სკოლის აღჭურვა სელექტიური სორტირების კონტეინერებით*	***12/2016:*** *სელექტიური სორტირების კონტეინერები შეკვეთილია* *01/2017:* *სელექტიური სორტირების კონტეინერები დაყენებულია საკლასო ოთახებში (ქაღალდი და მუყაო) და საერთო სარგებლობის ადგილებში (პლასტმასას/პლასტიკატის ნაწარმი (PET), ბატარეები, ორგანული ნარჩენები).* *მომზადებულია ინსტრუქციები ნარჩენების სორტირებისთვის*	*სორტირებული ნარჩენების რაოდენობა (კგ, ყოველდღიური გაზომვები ერთი კვირის განმავლობაში და საშუალო მონაცემის დადგენა)*	***01.11.16 – 04.11.16:*** *ქაღალდი: 0 კგ* *PET: 0 კგ* *ბატარეები: 0 კგ* *ორგანული ნარჩენები: 0 კგ*	***23.01.17 – 27.01.17*** *ქაღალდი: 15 კგ* *PET: 6 კგ* *ბატარეები: 0.3 კგ* *ორგანული ნარჩენები: 2 კგ* ***20.02.17 – 24.02.17*** ***23.01.17 – 27.01.17*** *ქაღალდი: 15 კგ* *PET: 6 კგ* *ბატარეები: 0.3 კგ* *ორგანული ნარჩენები: 2 კგ* ***20.02.17 – 24.02.17*** *ქაღალდი: 19 კგ* *PET: 15 კგ* *ბატარეები: 0.4 კგ* *ორგანული ნარჩენები: 5 კგ* ***12.03.17 – 17.03.17*** *და სხვა.*	***15.05.17 –19.05.17*** *ქაღალდი: 26 კგ* *PET: 18 კგ* *ბატარეები: 0.6 კგ* *ორგანული ნარჩენები: 7 კგ*	***მაისი 2017*** ***ქაღალდი:*** *კვირაში საშუალოდ გროვდება x კგ ქაღალდი, ადგილი აქვს y %-იან ზრდას;* ***PET:*** *კვირაში საშუალოდ გროვდება x კგ PET , ადგილი აქვს y % -იან ზრდას;* ***ბატარეები:*** *კვირაში საშუალოდ გროვდება x კგ ბატარეები, ადგილი აქვს y % -იან ზრდას;* ***ორგანული ნარჩენები:*** *კვირაში საშუალოდ გროვდება x კგ ორგანული ნარჩენები, ადგილი აქვს y % -იან ზრდას.*

	1.2 ნაჩჩენების სოჩტიჩების შესახებ ცნობიეჩების ამაღღება	***11/2016:*** *მომზადდა ონღაინ კვღევა ნაჩჩენების სოჩტიჩების შესახებ ინფოჩმიჩებუღობის შეფასების მიზნით* ***12/2016:*** *კვღევა გავჩცეღდა სასკოღო საზოგადოებაში. მონაცემთა ანაღიზი და შედეგები გააცნეს მოსწავღეებს (ეკო -სკოღების საინფოჩმაციო დაფა* ***01/2017:*** *ღონისძიებების ოჩგანიზება* ***04/2017:*** *კითხვაჩი გავჩცეღებუღია და შედეგები გაანაღიზებუღი*	*სასკოღო საზოგადოების ნაჩჩენების სოჩტიჩების ჩვევების გააზჩება (პჩოცენტუღი მაჩვენებეღი)*	***დეკემბეჩი 2016*** *შედეგები:* *გამოკითხუღი ადამიანების მხოღოდ 45% ახღენდა ნაჩჩენების სოჩტიჩებას* *გამოკითხუღი ადამიანების 30% -მა იცოდა ნაჩჩენების სწოჩად სოჩტიჩება*		***აპჩიღი 2017*** *გამოკითხუღი ადამიანების 80% ახღენდა ნაჩჩენების სოჩტიჩებას* *გამოკითხუღი ადამიანების 90% ზე მეტმა იცოდა ნაჩჩენების სწოჩად სოჩტიჩება*	***მაისი 2017*** *ჩვევები: 30%-ზე მეტის გაუმჯობესება* *ცოდნა: 60%-ზე მეტის გაუმჯობესება*
	1.3 *მოსწავღეების ვიზიტი ნაჩჩენების გადამუშავების ობიექტზე* *7P და 8P*		*ვიზიტის მონაწიღე მოსწავღეების ჩაოდენობა*	***ნოემბეჩი 2016*** *0*		***მაისი 2017*** *80*	

მონიტორინგის ფურცლის ნიმუში

დაგეგმილი აქტივობები	მიზანი	ინდიკატორი	გაზომვა		შედეგი
			დასაწყისი	დასასრული	

ეკოსკოლების პროგრამის საერთო შეფასების/ზოგადი შეფასების კითხვარი

ეკოსკოლების პროგრამის მიერ შეთავაზებული კითხვები არის მხოლოდ იდეები, თამამად შეცვალეთ, დაამატეთ სხვები, რომლებიც რელევანტურია თქვენი პროექტისთვის.

შესაბამისობა და თანამიმდევრულობა	პასუხები – იდეები გაუმჯობესებისთვის
1. არის ეკოსკოლების პროგრამა შესაბამისობაში თქვენი სკოლის საჭიროებებსა და შესაძლებლობებთან?	
2. დაგეხმარათ აუდიტი ქმედების მნიშვნელოვანი გზების განსაზღვრაში?	
3. სამოქმედო გეგმა აუდიტის შედეგებთან კავშირში მომზადდა?	
4. დამყარდა კავშირები ეკოსკოლების პროექტს და სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ სამუშაოებს შორის?	

შესაბამისობა და თანამიმდევრულობა	პასუხები – იდეები გაუმჯობესებისთვის
5. დაგეხმარათ დაგეგმილი მოქმედებები თავდაპირველად დასახული მიზნების მიღწევაში?	

ეფექტურობა და ეფექტიანობა	პასუხები – იდეები გაუმჯობესებისთვის
6. ეკოკომიტეტი საკმარისი სიხშირით იკრიბება?	
7. ეკოკომიტეტის სტრუქტურა და ოპერირების მეთოდები სათანადო იყო?	
8. დასრულდა ქმედებები?	
9. აქტივობები გრაფიკის მიხედვით შესრულდა (და ბიუჯეტის ფარგლებში)?	
10. იცნობს სასკოლო საზოგადოება ეკოსკოლების პროგრამას?	

ზეგავლენა და მდგრადობა	პასუხები – იდეები გაუმჯობესებისთვის
11. რა გავლენა მოახდინეს განხორციელებულმა ქმედებებმა (გაუმჯობესებული გარემოსდაცვითი საქმიანობა, ახალი უნარები და ცოდნა, და სხვა)?	
12. რა დადებითი გავლენა აქვს პროგრამას?	
13. რა უარყოფითი გავლენა აქვს პროგრამას?	
14. ჩართული ადამიანები კმაყოფილი არიან ეკოსკოლების პროგრამით?	

ზეგავლენა და მდგრადობა	პასუხები – იდეები გაუმჯობესებისთვის
15. როგორ იქნება უზრუნველყოფილი ამ ქმედებების გაგრძელება?	

5

საფეხური 5. კავშირი სასწავლო პროგრამასთან

ეკოსკოლების პროგრამა განსაკუთრებულად ეფექტურია, როდესაც შეძლებისდაგვარად ინტეგრირებული და დაკავშირებულია სასკოლო სასწავლო გეგმასთან. შესაბამისად, პროგრამის განხორციელების პროცესში მოსწავლეები და მასწავლებლები კრიტიკულად აფასებენ საგაკვეთილო (ფორმალურ) პროცესს და შეაქვთ ცვლილებები/ ავითარებენ სასკოლო სასწავლო გეგმას. ამ პროცესში აუცილებელია მოსწავლეების ასაკის, მზაობის, ინტერესების გათვალისწინება. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამა არ გადაიტვირთოს, საჭიროა ზომიერი, გონივრული მიდგომა, ყველა მოსწავლეს შეეძლოს, მიიღოს სარგებელი მდგრად განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული შესწავლით.

ეკოსკოლის საქმიანობის კავშირი სკოლის სასწავლო პროგრამასთან სხვადასხვა პერსპექტივას მოიცავს და წლების მანძილზე ვითარდება, თუმცა არსებობს ძირითადი მიდგომები, რომლებიც არ იცვლება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი შემდეგში მდგომარეობს:

- **ეკოსკოლების სასწავლო პროგრამა მთელ დაწესებულებას აერთიანებს -** მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის განხორციელებაში მთელი სკოლა ჩაერთოს, ყველა დაინტერესებული მხარე ერთობლივად უნდა ქმნიდეს სკოლის სულისკვეთებას; მონაწილეობდეს, სწავლობდეს, აფასებდეს და ცვლიდეს ქცევას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია მაქსიმალურად ბევრი მოსწავლისა და მასწავლებლის ჩართულობა პროცესში.
  ამ მიზნის მიღწევის ძირითადი წინაპირობა სკოლის წარმომადგენლებს შორის ფართო თანამშრომლობაა. მათ უნდა სურდეთ ერთობლივი მუშაობა და აძლევდნენ ბავშვს ჰოლისტიკურ ხედვას კარგად გააზრებული ინსტრუქციებით. მნიშვნელოვანია პროცესის მხარდამჭერი მასალების/რესურსების მომზადება, ინტეგრაციისთვის სივრცის მოწყობა, საკლასო აქტივობების, პროექტების, მათი შეფასების პროცედურების დაგეგმვა, ეს ყოველივე უზრუნველყოფს გარემოსდაცითი განათლების პოზიტიურად მიღებას.

- **ეკოსკოლების სასწავლო პროგრამა არის სწავლა მოქმედებისთვის -** ჩვეულებრივ, სასწავლო პროგრამა არის წყება საკითხებისა, რომლებიც უნდა შეითვისონ მოსწავლეებმა, რათა განივითარონ შესაძლებლობები და ჩამოყალიბდნენ ისეთ ადამიანებად, ვინც შეძლებს ღირსეულად ცხოვრებას ზრდასრულობის მიღწევის შემდეგ რეალურ ცხოვრებაში. გარემოსდაცვითი განათლება უფრო მჭიდროდ უნდა აკავშირებდეს საგანმანათლებლო პროცესებსა და რეალურ ცხოვრებას, გეგმავდეს აქტიურ საქმიანობას იმ გარემოსდაცვითი პრობლემების გარშემო, რომლებიც კონკრეტული დასახლებების წინაშე დგანან.

- **ეკოსკოლების სასწავლო პროგრამა ინტეგრირებული ბუნებისაა -** ეკოსკოლების შვიდსაფეხურიანი პროცესის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია სკოლაში მიმდინარე გარემოსდაცვითი აქტივობების დაკავშირება ერთმანეთთან და სასწავლო პროგრამით განსაზღვრულ საგნობრივ შინაარსთან. გარემოსდაცვითი განათლება, თავისი არსით ინტეგრაციული ბუნებისაა და მისი საკითხები გვხვდება სხვადასხვა საგანში. გარემოსდაცვითი განათლება ხელს უნდა უწყობდეს ამ საკითხების სწავლებას სხვადასხვა საგნის ჭრილში და რეალური სამყაროს კონტექსტში. გარემოსდაცვითი განათლების სფეროებში არსებობს კვლევაზე დაფუძნებული კონსენსუსი, რომ შესაბამისი საკითხების სწავლება საუკეთესოდ არის შესაძლებელი მათი სხვადასხვა თემში ინტეგრირების გზით. თბილისის დეკლარაცია ხაზგასმით აღნიშნავს: „ფაქტია, რომ ფიზიკური და ბიოლოგიური მახასიათებლები ქმნიან ადამიანის გარემოს ბუნებრივ საფუძველს, თუმცა ეთიკური, სოციალური, კულტურული და ეკონომიკური განზომილებები ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებენ იმ მიდგომის განსაზღვრაში, რომლითაც ადამიანებმა უკეთ უნდა გამოიყენონ ბუნებრივი რესურსები მათი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის.“

თბილისის დეკლარაციაში, ასევე, ხაზგასმულია გარემოსდაცვითი განათლების ინტეგრირება სასწავლო პროგრამის ყველა საგანში: „გარემოსდაცვითი განათლება არ უნდა დაემატოს საგანმანათლებლო პროგრამას, როგორც ცალკე დისციპლინა ან პროგრამა, ეს უნდა იყოს დისციპლინა, რომელიც მათში ინტეგრირდება“. ამასთან, თუ მასწავლებელი ერთი საგნის ფარგლებში ერთდროულად მრავალ ფაქტორსა და მათ ურთიერთკავშირზე ისაუბრებდა, შესაძლოა ეს მოსწავლისთვის რთული და ნაკლებად აღქმადი ყოფილიყო.

ეკოსკოლების პროექტის განხორციელება სხვადასხვა საგნის მეშვეობით

პროექტის ყოველი ნაბიჯი და ყოველი განხორციელებული ქმედება შესაძლოა გამოვიყენოთ სტანდარტის მიხედვით განსაზღვრულ საქმიანობაში. ამით ეს უკანასკნელი უფრო სასარგებლო და საინტერესო გახდება. მაგალითად, მათემატიკის გაკვეთილების გამოყენება შესაძლებელია მონიტორინგის ინდიკატორების პროგრესის განმარტებისთვის, ხელოვნების გაკვეთილებმა შესაძლოა, ხელი შეუწყონ ურნების შექმნას ნარჩენების სორტირების ახალი სისტემისთვის და სხვა. უამრავი შესაძლებლობა არსებობს და შეიძლება მაგალითების პოვნა თითოეული საგნის და დონისთვის. სწავლების ეს მეთოდი ხელს უწყობს პროექტის კონკრეტული ასპექტების გამოკვეთას მათი ინტერდისციპლინარული შესწავლის გზით, თუმცა მისი ჰოლისტიკური განხილვის საშუალებასაც იძლევა. ცხადია, ეკოსკოლების თემატიკის დანერგვამ არ უნდა გამოიწვიოს სასწავლო პროგრამის არსებული მიზნების მიმართ ყურადღების შემცირება.

მასწავლებლების ჩართვა

აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაძლოა საჭირო გახდეს მასწავლებლების მხარდაჭერა შესაბამის თემატიკაში გაძლიერებისა და ინტერდისციპლინარული მიდგომის გაზიარების მიმართულებით, რადგან მათი მოტივაცია განსაზღვრავს მოსწავლეების მონაწილეობას პროცესში და უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირს სასწავლო პროგრამასა და ეკოსკოლების პროგრამას შორის.

მდგრადი განვითარებისა და გარემოსდაცვითი განათლების საკითხების ინტეგრირებული სწავლება - რეალური გამოწვევა

მდგრადი განვითარების საკითხების ინტეგრირება სწავლებასა და სწავლაში გამოწვევად რჩება მრავალი მასწავლებლისთვის. ESD გახდა სასკოლო პროგრამების განუყოფელი ნაწილი, პრობლემა იმასაა, რომ ის მიზნად ისახავს კომპლექსური და ინტერდისციპლინარული საკითხების მოგვარებას სკოლის კონტექსტში, მაშინ, როცა სასწავლო გეგმა ძირითადად ცალკეულ დისციპლინებს ემყარება. ამას თან ახლავს აღქმის მრავალფეროვნება იმის შესახებ, თუ რა არის მდგრადი განვითარება. ეკოსკოლების პროგრამის მოქმედებების თქვენი სკოლის საგანმანათლებლო მიზნებთან დაკავშირება მნიშვნელოვანია ორი მიზეზის გამო. ერთი მხრივ, განხორციელებული ქმედებები გაძლევთ სასწავლო პროგრამასთან დაკავშირებულ მრავალ შესაძლებლობას (მათემატიკა, ენები, ხელოვნება, მეცნიერება, გეოგრაფია და სხვა), რომელიც უზრუნველყოფს კლასში უფრო კონცენტრირებულ და ჩართულ მუშაობას. თავის მხრივ, მოცემული დისციპლინები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, სიღრმისეულად შეისწავლონ არჩეული თემა და გამოიყენონ ეს ცოდნა პროექტის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით. ან შედეგების პრეზენტაციისას.

ინტერდისციპლინარული სწავლის განვითარება

ინტერდისციპლინარული სწავლება არის მიდგომა, რომელიც აერთიანებს ორი ან მეტი დისციპლინის კონცეფციებსა და მეთოდებს ცენტრალური საკითხის შესასწავლად, კონცეფციის შესამოწმებლად ან საბოლოო პროექტის შესასრულებლად. ESD-ის შემთხვევაში, ინტერდისციპლინარული სწავლება დააკავშირებს სხვადასხვა დარგს, უზრუნველყოფს მათ ერთიან გააზრებას და შექმნის საკითხის ან თემის მრავალი პერსპექტივიდან განხილვის შესაძლებლობას. მდგრადი განვითარების პროცესში ჩართვა გულისხმობს არა მხოლოდ სკოლის მენეჯმენტში მდგრადი განვითარების ასპექტების ეტაპობრივ ინტეგრირებას, არამედ ინტერდისციპლინარული განათლების ხელშეწყობასაც, რომელიც ახლავს სკოლაში განხორციელებულ კონკრეტულ ქმედებებს. ამის გათვალისწინებით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ყველა იმ მიდგომას, რომლებიც ორიენტირებულია სასწავლო პროცესზე და მიზნად ისახავს მოსწავლეების მოტივაციას და გაძლიერებას, რათა მათ განავითარონ კრიტიკული აზროვნება და ჩამოაყალიბონ ახალი, პასუხისმგებლიანი ქცევა. მაგალითად:

- ინტერდისციპლინარული სასწავლო გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს სასწავლო პროგრამების ერთმანეთთან კავშირს და იძლევა საშუალებას მრავალფეროვანი გამოწვევები განიხილონ სხვადასხვა ჭრილში;

- აქტიური პედაგოგიკა და პროექტზე დაფუძნებული სწავლება, რომელიც ემსახურება რეალურ ცხოვრებაში ავთენტური სასწავლო გამოცდილების მიღებას და საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიური როლი შეასრულონ სასწავლო პროცესში.

- გარე სასწავლო აქტივობები, როგორებიცაა: საველე გასვლები, სასწავლო გეგმასთან დაკავშირებული ექსკურსიები, ვიზიტები გამოფენებზე, სემინარები, ფილმების ჩვენებები და სხვა.

სასწავლო პროგრამასთან კავშირის ნიმუში

გარემოსდაცვითი მიმოხილვის მოკლე და გრძელვადიანი შედეგები	კლასი	საგანი / თემა	სასწავლო პროგრამის სტანდარტი/სასწავლო შედეგები/უნარები	რომელ საფეხურზე არის ამის ინტეგრაცია შესაძლებელი და რა არის ინსტრუქტირების/ სწავლების სწავლის აქტივობა	შეფასების ინსტრუმენტები	მასწავლებლებთან თანამშრომლობა
მიგნებები და მათი გამოყენება სასწავლო პროგრამაში (მაგალითად ჩვენს მიეი წყლის მოხმარება უნდა შემცირდეს)		*ეს თემა ჰომეული საგნის ფარგლებში განიხილება?*	*საგანმანათლებლო მიზნები*	*მაგალითად: სამოქმედო გეგმაში აქტივობის ორგანიზების გზით მაგალითად: ცნობიერების კამპანიის ან კვლევის მეშვეობით, ფორმატით - მიაწოდე ინფორმაცია & ჩართე*	*მაგალითად ტესტი, კვლევა, დაკვირვება, ესე, პრეზენტაცია, და სხვა.*	*ჰომეული საგნის მასწავლებლებთან?*

სასწავლო პროგრამასთან კავშირის შესრულების ინდიკატორები

- სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასება და სამოქმედო გეგმის თემების ინტეგრირება.
- სკოლის მასწავლებლები განიხილავენ აღნიშნულ საკითხებს მოსწავლეებთან ერთად და შეაქვთ ცვლილებები საკუთარ პრაქტიკაში
- სკოლა გეგმავს დამატებით სასკოლო ღონისძიებებს / კონფერენციებს / სხვა სასწავლო შესაძლებლობებს, იმისათვის, რომ განავითაროს და გაამყაროს მდგრადი განვითარების თემების ინტეგრაცია სასწავლო პროცესში

რჩევები სასკოლო პროგრამაში ინტეგრირების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად

ეკოსკოლების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას აღწერეთ კონკრეტული მაგალითი:

მაგალითი	კლასი	საგანი	აქტივობა

შეგიძლიათ, წარმოადგინოთ ეკოსკოლებით განპირობებული საგანმანათლებლო მიღწევების მაგალითები? აღწერეთ მოკლედ.

საფეხური 6. ინფორმირება და ჩართვა

იმისათვის, რომ მთლიანი სკოლის განვითარების მიდგომა იყოს შენარჩუნებული, ინტერვენციები - ეფექტიანი და მდგრადი, აუცილებელია მთელი სკოლის ინფორმირება და ჩართვა. ასევე, მნიშვნელოვანია ფართო საზოგადოების ცნობადობა.

რას ნიშნავს ინფორმირება და ჩართვა?

მონაწილეობისა და პარტნიორობის მთავარი სულისკვეთება, ეკოსკოლების პროგრამის საფუძველია. პროგრამა არ არის მხოლოდ ერთი ადამიანის პასუხისმგებლობა, არამედ მასში მთელი სკოლაა ჩართული და ცნობიერების ამაღლების სისტემატიურ ინიციატივას მოითხოვს, ისე რომ მთელმა სასკოლო საზოგადოებამ მიიღოს ინფორმაცია ამ მიდგომის შესახებ.

პრეზენტაციიდან ცნობიერების ამაღლებამდე

მიზანშეწონილია განისაზღვროს კომუნიკაციის მკაფიო მიზნები, სამიზნე აუდიტორიის (სტუდენტები, მასწავლებლები მშობლები და სხვა) და ხელმისაწვდომი საკომუნიკაციო საშუალებების გათვალისწინებით. თქვენ შეგიძლიათ, დაიწყოთ პროგრამის პრეზენტაციით, რათა ყველამ შეიტყოს თუ რის შესახებაა ეს პროგრამა. იმისათვის, რომ ბევრი ადამიანი მოიზიდოთ, შეეცადეთ პროგრამის წარდგენის დროს, მარტივი და პოზიტიური ენა გამოიყენოთ. გარდა ამისა, შეგიძლიათ პროგრამის შვიდი საფეხურიდან, ყოველი საფეხური, კომუნიკაციისა და აქტივობების მობილიზაცი ისათვის გამოიყენოთ, მაგალითად, აუდიტის შედეგები, მნიშვნელოვანია ცნობიერების ამაღლებისათვის, ანალოგიურად სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის ცხრილი კონფედენციალური არ გახლავთ, განათავსეთ ის თქვენი ეკოსკოლის თვალსაჩინოების დაფაზე და წლების განმავლობაში თქვენი პროექტი ყველასათვის ხელმისაწვდომი იქნება. ეკოსკოლების საქმიანობის მუდმივი ჩვენება აუცილებელია, რადგან ყოველწლიურად შემოდიან ახალი მოსწავლეები.

მოსწავლეთა ჩართულობა

პროგრამის მთავარი მიზანი სტუდენტების აქტივობებში ჩართულობა და ცნობიერების ამაღლებაა. ასევე, მათი მოტივაციისათვის, მნიშვნელოვანია სტუდენტებს მისცეთ გონივრული დავალებები, მაგალითად, იზრუნონ ეკოსკოლის თვალსაჩინოების დაფის მენეჯმენტზე, აიღონ პასუხისმგებლობა ეკოსკოლის ბლოგზე, ან მიიღონ მონაწილეობა, სკოლის ადგილობრივი გაზეთისათვის სტატიის მომზადებაში.

გარდა ამისა, უამრავი სხვა ვარიანტი არსებობს, მაგალითად, შეგიძლიათ, მოაწყოთ ეკოელჩების არჩევნები. ეკოელჩები შეხვედრებზე საკუთარ კლასებს წარმოადგენენ და პროექტების შესახებ თანატოლებთან, მოლაპარაკებას აწარმოებენ.

სკოლის შენობის მიღმა

მდგრადი განვითარების მიმართულებით საკმაოდ გრძელვადიანი გამოცდილება არსებობს და ეს პროცესი აუცილებლად გულისხმობს გარესამყაროსთან კავშირის დამყარებას.

პარტნიორობისა და კონტაქტების დამყარების წახალისება, ხელს უწყობს სკოლის პროექტების განვითარებას. ეკოსკოლების პროგრამის სკოლის ფარგლებს გარეთ გატანა რამდენიმე მიზეზითაა სასარგებლო. მაგალითად ყველასათვის ხილვადს გახდის, თუ როგორ ხორციელდება პროექტი, ხაზს გაუსვამს პროექტში ჩართული ადამიანების ძალისხმევას და თქვენს სკოლას პოზიტიური კუთხით წარმოაჩენს. გარდა ამისა, გარე პარტნიორებს შეუძლიათ, მაღალი ხარისხის აღჭურვილობითა და მასალებით, დაგეგმილი აქტივობები კიდევ უფრო განავითარონ ან/და ფინანსური დახმარებაც კი შემოგთავაზონ.

რა სახის საკომუნიკაციო ინსტრუმენტების გამოყენება შეგიძლიათ? მაგალითად: გაზეთები, მდგრადი განვითარების კვირეული, სტუდენტთა საბჭო, გამოფენები, თქვენი პროექტის გასაჯაროების შესაძლებლობები ბევრი და მრავალფეროვანია. ზოგიერთი აქტივობა და ინსტრუმენტი, წარმატებული კომუნიკაციისათვის აუცილებელია. ეკოსკოლის თვალსაჩინოების დაფა კი, მთავარი ინსტრუმენტია, რომელსაც ეკოკომიტეტი მართავს და განხორციელებული პროექტის აქტივობებსა და შედეგებს გვიჩვენებს. დაფაზე შეგვიძლია განვათავსოთ: ეკოკომიტეტის შეხვედრების განრიგი, აუდიტის შედეგები, ეკოკოდექსი (იხილეთ საფეხური 7), სტატიები, ფოტოები და სხვა. განათავსეთ მასზე კოლექტიური აქტივობების (მაგ., ნულოვანი ნარჩენების დღე, მობილობის კვირეული, სასკოლო საზოგადოების სამუშაო შეხვედრები პროექტის გარშემო, დასუფთავების დღე, დარგვის დღე) ამსახველი მასალა. ეს ყველაფერი კარგი საშუალებაა, ადგილობრივ პარტნიორებთან კავშირის დამყარებისათვის და ეკოსკოლების პროგრამის პოპულარიზაციისათვის სკოლის ფარგლებს გარეთ. ეკოსკოლის შესახებ ინფორმაციის სკოლის ვებგვერდზე განთავსების შედეგად საზოგადოება თვალყურს ადევნებს და შეიტყობს ეკოსკოლების პროგრამის განვითარებისა და პროგრესის შესახებ. შესაძლებელია მასწავლებელთა ტრენინგების დღეების ნაყოფიერად გამოყენება, რათა მასწავლებლებს მივაწოდოთ ინფორმაცია პროგრამის შესახებ და მდგრადი განვითარების გამოწვევებთან დაკავშირებით მათი ცნობიერების ამაღლებას შევუწყოთ ხელი. წარმატებული პროექტების (ბოსტნეულის ბაღის შექმნა, ველოსიპედის საწყობის შექმნა ან გამოფენის დანერგვა, რომელსაც მუდმივი სახე ექნება) საზეიმო ვითარებაში აღსანიშნავად შეგიძლიათ, მოაწყოთ ინაუგურაციის ცერემონიალი და დააჯილდოვოთ ადამიანები პროექტში ჩართულობისა და ძალისხმევისათვის. რჩევების ყუთი, სადაც ხელმძღვანელებისა და სტუდენტების მოსაზრებები და რეკომენდაციები მოთავსდება, განავითარებს, პროექტში ჩართულობისა და მონაწილეობის კულტურას.

ინფორმაციის გავრცელების ფორმები:

- მოსწავლეთა შეკრებები
- გამოფენები
- სოციალური მედია
- ცნობილი სახეებთან დაკავშირება
- ვებსაიტი
- ეკოსკოლის განცხადების დაფა
- კოლექტიური გასვლითი აქტივობები
- ექსკურსიები
- სხვ.

ინფორმირებისა და ჩართვის შესრულების ინდიკატორები:

- მოსწავლეებთან ერთად, მასწავლებლები და მშობლები მონაწილეობენ ეკოსკოლების ღონისძიებებსა და აქტივობებში (მაგალითად: მოქმედების დღეები, თემის დღეები და სხვა).
- ეკოსკოლებს იცნობს თემი
- სკოლა თავის ნამუშევარს უზიარებს ეკოსკოლების ქსელს, ან ადგილობრივ მოსახლეობას
- სკოლა აქტიურია სოციალურ მედიაში ონლაინ ხილვადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები ინფორმირებისა და ჩართვის შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად

ეკოსკოლების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას განმარტეთ:

როგორ ჩართეთ თქვენი სკოლა და დასახლება ეკოსკოლების პროგრამაში:

როგორ გაავრცელეთ სკოლაში ინფორმაცია ეკოსკოლების პროგრამის შესახებ?	

როგორ ჩართეთ სკოლის გარე მოსახლეობა ეკოსკოლების პროგრამის აქტივობებში?	
როგორ ატარებთ განსაკუთრებულ ღონისძიებებს?	
დაუკავშირდით თუ არა სკოლას თქვენ დასახლებაში, რეგიონში, ან სხვა ქვეყანაში ნამუშევრის გაზიარების მიზნით?	

7

საფეხური 7. ეკოკოდექსის შემუშავება

ეკოკოდექსი არის ინსტიტუციურ დონეზე ღირებულებების ჩამოყალიბების ეფექტური საშუალება. მოსწავლეები და სკოლის საზოგადოება თანხმდება ქცევის წესებზე და იწყებს ამ წესების დამკვიდრებას.

რა არის ეკოკოდექსი?

იმისათვის რომ პროექტს სრულყოფილი სახე ჰქონდეს, მის დასასრულებლად ბოლო შტრიხი, ეკოკოდექსის შექმნა იქნება, სკოლებს სთხოვენ, შექმნან ეკოკოდექსი, წარმოაჩინონ ის სახალისო, შემოქმედებითი ფორმით და ამით მდგრადი განვითარებისადმი ერთგული დამოკიდებულება გამოავლინონ. თემა, რომელსაც ეკოკოდექსისათვის აირჩევთ, პლანეტის მიმართ თქვენი მიზნების, ერთგულებისა და ფილოსოფიის საფუძველს უნდა მოიცავდეს, იგი უნდა ასახავდეს სამოქმედო გეგმას, სასწავლო გეგმას და სტუდენტების გამოცდილებას. ეკოკოდექსს უნდა ჰქონდეს, მობილიზების ეფექტი და თქვენი პროექტის საზოგადოებისთვის წარდგენას ისახავდეს მიზნად. ეკოკოდექსი უნდა იყოს სპეციფიკური, მაგრამ ადვილად დასამახსოვრებელი, რათა სასკოლო საზოგადოებამ ადვილად მოახდინოს მასთან ადაპტირება.

ეკოკოდექსი შეიძლება იყოს

- სკოლის სტრატეგიული გეგმის ნაწილი
- სკოლის რეგულაციების/წესების ნაწილი
- გამოისახებოდეს სხვადასხვა ფორმით (მაგალითად სკოლის რიტუალებში, სხვადასხვა ქცევით ფორმებში)

რა ფორმა უნდა ჰქონდეს ეკოკოდექსს?

ეკოკოდექსის შაბლონური ფორმატი არ არსებობს, მას შეიძლება ჰქონდეს პოსტერის, ლექსის, სლოგანის, აკროსტიქის, პოემის, პიესის, ხელოვნების ნიმუშის, ვიდეოკლიპის ან სიმღერის სახე. ჩართეთ წარმოსახვა და მოიფიქრეთ თქვენი სკოლისათვის ყველაზე შესაფერისი ფორმა, რომელიც თქვენი სკოლის მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს. ეკოკოდექსს გამაერთიანებლის როლი აქვს, ამიტომაც სასკოლო საზოგადოებიდან, რაც შეიძლება მეტი ადამიანი უნდა ჩაერთოს მისი შემუშავების პროცესში. მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ჩართულობა, რადგან ისინი კრეატიულობითა და გამომგონებლობით გამოირჩევიან. შეგიძლიათ მოაწყოთ ღია კონკურსი, ან დადგათ ყუთი, სადაც სკოლის წარმომადგენლების იდეები მოთავსდება. შეგიძლიათ ეკოკოდექსის შექმნა, სასწავლო გეგმასთან დავაკავშიროთ (უცხო ენები, ხელოვნება, თეატრი, მუსიკა, მეცნიერება და სხვ.) ეს ხელს შეუწყობს პროექტის მიმართ მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას და გაზრდის პროექტის მონაწილეთა რაოდენობას.

საკომუნიკაციო ინსტრუმენტები

ეკოკოდექსი უნდა გახდეს ყველასთვის თვალსაჩინო, ამიტომაც მნიშვნელოვანია მუდმივად იყოს განთავსებული ეკოსკოლის თვალსაჩინოების დაფაზე. შესაძლოა, გამოჩნდეს სკოლის ვებგვერდზეც, გამოქვეყნდეს სკოლის გაზეთებში ან სკოლის ყველა კლასში განთავსდეს. ეკოკოდექსი, პროგრამის მიერ შერჩეულ თემას ეხმიანება და მის გარშემო დასახული მიზნებისა და დაგეგმილი ქმედებების ინსპირაციის შედეგია. მაშასადამე, ეკოსკოლის ყოველი ახალი პროექტისათვის საჭიროა ახალი ეკოკოდექსის მოფიქრება. ამასთანავე, შეგიძლიათ, ეტაპობრივად განაახლოთ ეკოკოდექსი, რათა დარწმუნდეთ, რომ დროის სვლასთან ერთად ის, სკოლის ახალი თემების, პრიორიტეტებისა თუ აქტივობების მიმართვ, კვლავ რელევანტურია.

ეკოკოდექსის შესრულების ინდიკატორები:

- გამოყოფილია ეკოკოდექსის შემუშავების ჯგუფი
- ეკოკოდექსის შემუშავებაში ჩართულია სკოლის მთელი საზოგადოება
- კოდექსის შემუშავების ჯგუფი ახდენს მდგომარეობის (ქცევების, ღირებულებების) შესწავლას
- ეკოკოდექსი ნათლად არის ჩამოყალიბებული და ასახავს იმ მთავარ ღირებულებებს, რომელთაც ეფუძნება სკოლის განვითარების ხედვა
- ეკოკოდექსის განხილვა ხდება საჯაროდ და მის ფორმირებაში წვლილი შეაქვს თითოეული სკოლის წარმომადგენელს
- ეკოკოდექსი განახლდება რეგულარულად, მონიტორინგსა და შეფასების შედეგებზე დაფუძნებით

რჩევები ეკოკოდექსის შემუშავების შესახებ დოკუმენტაციის მოსამზადებლად

ეკოსკოლების პროგრამის ანგარიშის მომზადებისას აღწერეთ

როგორ შეიქმნა ეკოკოდექსი.	
რამდენად ხშირად კეთდება მისი მიმოხილვა?	
სად არის გამოქვეყნებული?	
როგორ უზრუნველყოფთ, რომ ყველა მოსწავლემ იცოდეს მის შესახებ?	

დაჯილდოების სქემა

განაცხადი ეკოსკოლების დაჯილდოებაზე

მწვანე დროშის ჯილდო

ეკოსკოლების ჯილდო (მწვანე დროშის ჯილდო) მნიშვნელოვანი ნაბიჯია სკოლის უწყვეტი განვითარების პროცესში, თუმცა დაჯილდოება არა პროცესის დასასრული, არამედ დასაწყისია და მდგრადი განვითარებისადმი თქვენი ერთგულების სიმბოლოს წარმოადგენს. მწვანე დროშის ჯილდო გარემოს დაცვის ხარისხის საერთაშორისო დონეზე აღიარებული სიმბოლოა, ჯილდოს ფლობა ზრდის თქვენი სკოლის სანდოობას.

დაჯილდოების პროცედურა

დაჯილდოების პროცედურა შედგება 5 ფაზისაგან:

- 1. სკოლა წარმოადგენს ეკოსკოლის პორტფოლიოს განსახილველად;
- 2. პორტფოლიოს განსახილველად ამტკიცებს ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, ეკოსკოლების პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში;
- 3. მომდევნო ეტაპზე პორტფოლიო გადაეცემა ეკოსკოლების ჟიურის, რომელიც განიხილავს პორტფოლიოს და ეწვევა სკოლას;
- 4. პორტფოლიოსა და ვიზიტის საფუძველზე ჟიური განიხილავს სკოლის განაცხადს. დადებითი შეფასების შემთხვევაში სკოლას გადაეცემა ეკოსკოლების ჯილდო, სერტიფიკატისა და საერთაშორისო მწვანე დროშის სახით;
- 5. ჯილდოს გადაცემა ხდება ოფიციალურად, საზეიმო ცერემონიის თანხლებით.

ეკოსკოლების მუშაობის შეფასების კრიტერიუმები

მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებული იქნება სკოლის კონკრეტული მახასიათებლები, ეკოსკოლების პროექტი შეფასდება ქვემოთ ჩამოთვლილი კონკრეტული კრიტერიუმების მიხედვით.

- სულ მცირე ერთ წლიანი მუშაობა პროგრამაზე;
- არჩეულ თემასთან კავშირში ეკოსკოლების პროგრამის შვიდივე საფეხურის გავლა;
- სამოქმედო გეგმის თანამიმდევრულობა, შესაბამისობა აუდიტის შედეგებთან;
- პროექტის დისციპლინათშორისი ხასიათი;
- მოსწავლეების აქტიური მონაწილეობა თითოეულ ეტაპზე;
- მთელი სკოლის ჩართულობა.

მწვანე დროშის დოკუმენტაცია

რა უნდა შევიტანოთ ეკოსკოლების პორტფოლიოში?

საფეხური 1 ეკოკომიტეტის შექმნა

- ეკოკომიტეტის არჩევნების პროცესისა და შედეგების ამსახველი დოკუმენტი (ოქმის სახით);
- ეკოკომიტეტის სულ მცირე 3 სხდომის ოქმის ასლი;
- ეკოკომიტეტის წევრთა სია;
- გადაბარების დოკუმენტი (შეხვედრის ოქმის ასლი, რომელიც ასახავს ეკოკომიტეტის წევრების ჩანაცვლების პროცესსა და შედეგს, ახალი წევრების რაოდენობის მითითებით);
- ეკოკომიტეტის საქმიანობის მტკიცებულებები (ფოტოები, შეტყობინების დაფაზე/ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სურათები, ე.წ."სქრინშოთები" სოციალურ მედიაში განთავსებული პოსტები).

საფეხური 2 გარემოსდაცვითი აუდიტის ჩატარება

- მდგრადობის აუდიტის შედეგების ასლი (აუდიტის ფორმა ან სხვა დოკუმენტი);
- მდგრადობის აუდიტის განხორციელების ამსახველი ფოტოები, მონაცემების შეგროვების ანგარიშები/ფორმები;
- მდგრადობის აუდიტის ანგარიში, რომელშიც მითითებული იქნება სამუშაო თემაზე შეგროვებული საბაზისო და განახლებული/საბოლოო მონაცემთა სია, დავალებების ჩამონათვალი გადანაწილებული დაინტერესებულ პირებზე, შესრულების ინდიკატორები, ჩატარებული გაზომვის მეთოდები და გამოყენებული საზომი ერთეულები.

საფეხური 3 სამოქმედო გეგმის შემუშავება

- სამოქმედო გეგმის ასლი;
- სამოქმედო გეგმის ამსახველი მტკიცებულებები (განცხადებების დაფის ფოტოები, სოციალურ მედიაში/ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმის ფოტოები და სხვა);
- განახლებული პუნქტების ჩამონათვალი, ან სამოქმედო გეგმის სულ მცირე ერთი განახლებული ვერსია, რომელიც შემუშავდა შუალედური შეფასების შედეგად;
- ვიზუალური სქემა, რომელიც ასახავს გასაუმჯობესებელ სფეროებს.

საფეხური 4 მონიტორინგი და შეფასება

- მონიტორინგის ფორმა ან სხვა დოკუმენტი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ განხორციელდა მონიტორინგი (ცხრილი, გრაფიკი, ფოტოსურათი, კითხვარი);
- განაწილებული დავალებების ჩამონათვალი, ფოტოები, რომლებიც უჩვენებენ მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, პრეზენტაციებს და სხვა;
- მონიტორინგის პირველადი და განახლებული მონაცემები, დიაგრამები, ჩანაწერები, გამოკითხვის შედეგები, ფოტოები და სხვა;
- პროგრესის ამსახველი დიაგრამები.

საფეხური 5 კავშირი სასკოლო პროგრამასთან

- ეკოსკოლების საქმიანობის სასწავლო პროგრამაში ინტეგრირების ამსახველი დოკუმენტის ასლი;
- დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად არის ჩამოთვლილი შერჩეული თემის ფარგლებში დამუშავებული ყველა საკითხი, ნაჩვენებია მათი კავშირი ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ესგ), მოცემულია საგანთა ჩამონათვალი და აქტივობების აღწერა, რომელთა დახმარებითაც ინტეგრირდა ეკოსკოლების პროგრამა სასწავლო კურიკულუმში;
- მასწავლებლების და მოსწავლეების პრეზენტაციები, რომლებიც ასახავენ შერჩეული თემის ინტეგრირებას სასწავლო პროცესში, შესაბამისი საკითხების შესწავლის მიზნით განხორციელებულ აქტივობებს და მიღწეულ შედეგებს;

- მასწავლებლების ESD პროფესიული განვითარების შესაძლებლობებში მონაწილეობის მტკიცებულებები (სერტიფიკატი, ფოტოები და ა.შ.);
- მდგრადობის წესების შემუშავების და მათი პოპულარიზების მტკიცებულებები („წესების წიგნის“ ასლი ან ფოტოები).

საფეხური 6 ინფორმირება და ჩართვა

- საკომუნიკაციო მასალების მაგალითი (ეკოსკოლის დაფის ფოტოსურათი, გამოქვეყნებული მასალის „სქრინშოთი“ და სხვა);
- ღონისძიებებში და აქტივობებში მონაწილეთა სიები, ღონისძიებების/აქტივობების ამსახველი ფოტოები;
- ეკოსკოლების პროგრამასთან დაკავშირებით სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებით გაზიარებული სტატიები, ფოტოები, „სქრინშოთები“და სხვა;
- სოციალურ მედიაში გავრცელებული პოსტების და პირადი პროფილის „სქრინშოტები“;
- ანგარიშები სახლში მიღწეული ცვლილებების შესახებ/მოსწავლეების და მშობლების ინფორმაცია;

საფეხური 7 ეკოკოდექსის შემუშავება

- ეკოკოდექსის ასლი;
- ეკოკოდექსის საჯაროობის დამადასტურებელი მტკიცებულებები, მაგ: ფოტოები, სქრინშოტები“და სხვა;
- მუშაობის პროცესში დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი ეკოდექსის სხვადასხვა ვარიანტის ნიმუშები;
- ეკოკოდექსის შემუშავების ან განახლების მიზნით ჩატარებული ეკოკომიტეტის შეხვედრების ოქმი.

ჟიურის ვიზიტი

ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავეს“ მიერ პორტფოლიოს დამტკიცების შემდეგ პორტფოლიო გადაეცემა სპეციალურ ჟიურის. ის დაკომპლექტებულია განათლებისა და მდგრადი განვითარების სფეროების ექსპერტებისაგან, ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავის“ წევრებისაგან, დარგობრივი სამინისტროების და სხვა დაინტერესებული მხარეების წარმომადგენლებისაგან. ჟიური განიხილავს პორტფოლიოს და ეწვევა სკოლას. გაითვალისწინეთ: ჟიურის სკოლაში ვიზიტის მთავარი მიზანია, შეფასდეს სკოლის მზაობა და ერთგულება მდგრადი განვითარების მიზნებისადმი, ორიენტირება უწყვეტი გაუმჯობესებისაკენ. ჟიურის ვიზიტი უნდა განვიხილოთ როგორც ღია და კონსტრუქციული დიალოგი. ვიზიტის შედეგად თქვენ გეძლევათ შესანიშნავი შესაძლებლობა, წარმოაჩინოთ თქვენ მიერ შესრულებული სამუშაო, იმსჯელოთ მოტივაციაზე და განმარტოთ თქვენს სკოლაში განვითარებული ეკოსკოლის დინამიკა. სკოლის შენობის მონახულების და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შემდეგ ჟიურის შეუძლია შეაფასოს, თუ როგორ შემუშავდა და განხორციელდა პროგრამა მთელი წლის განმავლობაში.

ჟიურის გადაწყვეტილება და ანგარიში

სკოლის მონახულებისა და პორტფოლიოს შეფასების შემდეგ ჟიური იღებს გადაწყვეტილებას, გადასცეს თუ არა სკოლას ეკოსკოლების ჯილდო. ნებისმიერ შემთხვევაში სკოლა მიიღებს წერილს, საბოლოო ანგარიშის სახით, რომელშიც მითითებული იქნება ჟიურის დაკვირვებები, დასკვნები, წინადადებები და/ან რჩევები მიღწეული შედეგების გასაუმჯობესებლად. გახსოვდეთ, რომ ეკოსკოლების ჯილდო შეიქმნა თქვენი საქმიანობის გაუმჯობესებისათვის, ღია და კონსტრუქციული დიალოგის სულისკვეთებით, ამიტომაც აუცილებელია ჟიურის ანგარიშის ზედმიწევნით განხილვა, არსებული კომენტარებისა და შენიშვნების გათვალისწინება ეკოკომიტეტის მომდევნო საქმიანობისთვის.

ეკოსკოლების ჯილდო განახლებადია

ორგანიზაცია „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ გთავაზობთ ჯილდოს, რომელიც მოქმედი იქნება ორი წლის განმავლობაში, ამ პერიოდში სკოლამ უნდა გააგრძელოს სწრაფვა მდგრადი განვითარებისადმი და საქმიანობის გაფართოვების მიზნით დაიწყოს ახალი თემის დამუშავება. ეკოსკოლების ჯილდო სერტიფიკატისა და მწვანე დროშის სახითაა წარმოდგენილი. ის ადასტურებს, რომ სკოლა არის ეკოსკოლების ქსელის წევრი; მისი გამოფენა სკოლის შენობაშიც შეგიძლიათ. ჯილდოს მიღებით, სკოლას ენიჭება ეკოსკოლების ლოგოს საკუთარ პუბლიკაციებზე გამოყენების უფლება, ასევე, მას გადაეცემა პატარა დროშა, რომელზეც სკოლის მიერ არჩეული თემა იქნება

წარმოდგენილი. ჯილდოს განახლებაზე განაცხადის გაკეთება სკოლას შეუძლია ჯილდოს გადაცემიდან ერთი წლის შემდეგ ან ორი წლის განმავლობაში. ამისათვის სკოლამ ორგანიზაციას, „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“, უნდა წარუდგინოს ახალი პროექტისათვის შექმნილი ეკოსკოლის პორტფოლიო. თუ ჯილდო განახლდება, სკოლა მიიღებს ახალ სერტიფიკატს და ახალ დროშას არჩეული თემისათვის. თუ სკოლა მიიღებს ეკოსკოლების პროგრამაში მონაწილეობის დასრულების გადაწყვეტილებას, მან გონივრულ ვადაში უნდა შეაჩეროს მწვანე დროშისა და ეკოსკოლების ლოგოს გამოყენება საკომუნიკაციო მასალებში.

ეკოსკოლების პორტფოლიოს საკონტროლო სია

შეამოწმეთ თქვენი მზაობა ჯილდოზე წარდგენისთვის „საკონტროლო სიის“ საშუალებით:

ვართ თუ არა მზად ეკოსკოლების ჯილდოზე განაცხადის შეტანისათვის	
გასათვალისწინებელი კუნქტები	**კომენტარები**
1. ეკოსკოლების პროგრამაზე სულ მცირე 1 წელი ვიმუშავეთ	
2. განვახორციელეთ შვიდსაფეხურიანი მეთოდოლოგია:	
2.1 ჩვენ გვაქვს ეკოკომიტეტი, რომელიც წელიწადში მინიმუმ სამჯერ იკრიბება	
2.2 არჩეულ თემასთან დაკავშირებით ჩავატარეთ მდგრადობის აუდიტი	
2.3 ჩვენ შევქმენით სამოქმედო გეგმა და წარვუდგინეთ ის სკოლის მთელ საზოგადოებას	
2.4 ჩვენ ვახორციელებდით ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგს და ვაფასებდით მიღწეულ შედეგებს	
2.5 ჩვენ დავამყარეთ კავშირი ეკოსკოლების პროექტსა და სასწავლო გეგმას შორის	

ვართ თუ არა მზად ეკოსკოლების ჯილდოზე განაცხადის შეტანისათვის	
გასათვალისწინებელი პუნქტები	**კომენტარები**
2.6 ჩვენ მთელი სკოლის საზოგადოებას მივაწოდეთ ინფორმაცია და გავზარდეთ ცნობიერება ეკოსკოლების აქტივობებთან დაკავშირებით	
2.7 შევქმენით ეკოკოდექსი, რომელიც ჩვენ მიერ არჩეულ თემას მოიცავს	
3. მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას იღებენ ეკოკომიტეტში და ჩართულები არიან შვიდივე საფეხურის განხორციელებაში	
4. მთელი სკოლა ჩართულია სულ მცირე ერთ აქტივობაში მაინც	
5. ყველა საჭირო საბუთი მომზადებულია	

საერთაშორისო მწვანე დროშა განსაკუთრებული ჯილდოა, შესაბამისად, მისი მიღება სერიოზულ და მყარ პასუხისმგებლობას მოითხოვს.

ძირითადი ინფორმაცია (უნდა შეავსოს დირექტორმა)

მოკლედ აღწერეთ როგორ ხედავთ ეკოსკოლის სამომავლო განვითარებას.	
რა სარგებელი მოუტანა ეკოსკოლების პროგრამამ თქვენს სკოლას?	
როგორ უზრუნველყავით მთელი სკოლის ინფორმირება და ჩართვა ეკოსკოლების პროგრამაში?	
როგორ მოახერხეთ ეკოსკოლების პროგრამის ინტეგრირება თქვენი სკოლის სტრატეგიულ გეგმაში?	

ვადასტურებთ ზემოთ მოცემულ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სიზუსტეს
ხელმოწერილია:

ეკოსკოლების
კოორდინატორი ..... დირექტორი .....

თარიღი ..... თარიღი .....

საქართველოში ეკოსკოლების პროგრამა ხორციელდება გარემოსდაცვითი ორგანიზაციის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ მიერ, შვედეთის მთავრობის ფინასური მხარდაჭერით, ადგილობრივ და საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო თანამშომლობით.

www.kgt.ge

Keep Georgia Tidy
დავიცვათ საქართველოს სისუფთავე

დავიცვათ
საქართველოს სისუფთავე

FOUNDATION FOR ENVIRONMENTAL EDUCATION
FEE

დავიცვათ საქართველოს სისუფთავე
KEEP GEORGIA TIDY

შვედეთი
Sverige